პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 264 (10961)
ხუთშაბათი
7
ნოემბერი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

# საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ და გულითადად გილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი მეორმოცე წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

ორმოცი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეთაურობით დაამხეს საძულველი ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება, თავიანთ ხელში აიღეს პოლიტიკური ძალაუფლება, შექმნეს მსოფლიოში პირველი ნამდვილად სახალხო სოციალისტური სახელმწიფო. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მშრომელები გამოიყვანა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე, გააღვიძა მათი მძლავრი შემოქმედებითი ძალები. კაცობრიობის ნათელი ოცნება სოციალიზმზე ისტორიაში პირველად განხორციელდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში, გამარჯვება დიდ სამამულო ომში, — საბჭოთა ხალხის უჭკნობი გმირობაა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომით შექმნილმა სოციალისტურმა საზოგადოებამ ღირსეულად გაუძლო ისტორიულ გამოცდას და დაამტკიცა თავისი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. იგი ვერ შეარყია ვერავითარმა ქარტეხილმა და ქარიშხალმა, გარეშე და შინაური მტრების ვერავითარმა ხრიკებმა. ოდესღაც ჩამორჩენილი რუსეთი საბჭოთა წყობილების საფუძველზე უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადაიქცა დიდ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ.

შეხედეთ საბჭოთა კავშირის რუკას, თუ რაოდენ იცვალა სახე ჩვენმა სამშობლომ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყანა დაიფარა ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების, რკინიგზებისა და საავტომობილო მაგისტრალების, შახტებისა და მაღაროების, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ხშირი ქსელით. ციმბირის ულრან ტაიგაში, შუა აზიის ცხელ ქვიშნარში, იმიერპოლარეთის ტუნდრაში, კავკასიონის ხეობებში წარმოიშვნენ მსხვილი სამრეწველო ცენტრები და ახალი ქალაქები. ვოლგასა და დნეპრზე, ციმბირის მძლავრ მდინარეებზე აშენდა და შენდება უდიდესი ელექტროსადგურები. ყაზახეთისა და ალტაის უდაბურ ტრამალებში თავთავი დაიყარეს ხორბლის ჯეჯილებმა.

უმაგალითოდ აყვავდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ახალი, სოციალისტური კულტურა, მათი ხელოვნება და ლიტერატურა. ფართოდ და წარმატებით ვითარდება სახალხო განათლება. სოციალიზმის ღირსეული პირმშოა მოწინავე საბჭოთა მეცნიერება. ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებიც დაეუფლნენ ატომის ენერგიის მიღების საიდუმლოებას, მთელ რიგ დარგებში გაუსწრეს კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერებას. საბჭოთა კავშირმა პირველმა შექმნა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი, განახორციელა კაცობრიობის გაბედული ოცნება — მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვება და ამით ახალი უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ საბჭოთა მეცნიერები კიდევ არაერთხელ ასახელებენ სამშობლოს ახალი შესანიშნავი აღმოჩენებითა და გამოგონებებით.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად წარმოიშვა და განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განმტკიცდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი. რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, უზბეკები, ყაზახები და ქართველები, აზერბაიჯანელები, ლიტველები და მოლდაველები, ლატვიელები, ყირგიზები და ტაჯიკები, სომხები, თურქმენები, ესტონელები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ხალხები და ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხი, რომლებიც აღზრდილი არიან მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სამუდამოდ შეკავშირდნენ ერთ ძმურ ოჯახად, სოციალისტური ერების დიად თანამეგობრობად.

ოქტომბრის რევოლუციამ ქვეყნის ბატონად გახადა შრომა, ხოლო შრომის ადამიანი — ერთი ქვეყნის ბატონ-პატრონად, თავისი ბედნიერების შემოქმედად. ახლა სსრ კავშირის გამოცდილებით, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებით დამტკიცებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ჭეშმარიტება, რომ ხალხს, რომელსაც მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია მეთაურობენ, შეუძლია ააშენოს საზოგადოება უექსპლოატატორებოდ და უმუქთახორებოდ. სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესში გაიზარდა ახალი ადამიანი, ისტორიის შეგნებული და აქტიური შემოქმედი, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული.

სოციალიზმი მოასწავებს საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას. საბჭოთა კავშირში წლითიწლობით იზრდება ნაციონალური შემოსავალი, მატულობს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნე გლეხობის შემოსავალი, იზრდება სახელმწიფოს ხარჯები სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებზე, თანდათანობით მკვიდრდება შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღე. საბჭოთა ხალხი დღეს უკეთ ცხოვრობს, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ იცხოვრებს, ვიდრე დღეს. ყველა საბჭოთა ადამიანის ურყევი რწმენა თავისი ხვალინდელი დღისადმი სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და უპირატესობაა.

ახალი გრანდიოზული პერსპექტივები ისახება საბჭოთა სამშობლოს წინაშე. ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1917 წელს დასახა ისტორიული ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყანა შორს წავიდა წინ. უკანასკნელ წლებში, წარმატებით ახორციელებს რა კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა მიაღწია საწარმოო ძალების განვითარების ისეთ საფეხურს, მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ სწრაფ პროგრესს, რომ ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ — უკვე უახლოეს პერიოდში შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ამუშავებენ, ითვალისწინებს ეკონომიკის ყველა დარგის ახალ მძლავრ აღმავლობას. მრეწველობის გადამწყვეტი დარგების დაახლოებით 2-3-ჯერ ზრდა, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა შესაძლებელს გახდის უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდეს ხალხის ცხოვრების დონე, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

ჩვენს ქვეყანაში მოწინავე კოლმეურნეობათა თაოსნობით დაიწყო საყოველთაო-სახალხო მოძრაობა იმისათვის, რომ გადაიჭრას ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების დონის მხრივ. საბჭოთა კავშირს, რომელმაც შექმნა მძლავრი ინდუსტრია და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ახლა ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ დაჩქარებული ტემპებით განავითაროს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, საკმაოდ უზრუნველყოს მოსახლეობა კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ყოველგვარი ქსოვილით, ავეჯით და სხვა საქონლით. ჩვენ შეგვიძლია მოკლე ვადაში მოვუღოთ ბოლო ბინების ნაკლებობას ჩვენს ქვეყანაში, უზრუნველვყოთ ყველა მოქალაქე კარგი ბინით.

აჩაღებს რა ეკონომიურ შეჯიბრებას უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყნებთან, საბჭოთა ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს. ჩვენს მხარეზეა განუზომელი უპირატესობანი — მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ეკონომიკის განვითარების გეგმიანი ხასიათი და სწრაფი ტემპები. ჩვენს მხარეზეა მილიონიანი მასების დაუშრეტელი ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა.

გრანდიოზულია ჩვენი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე მოვიპოვეთ.

სოციალისტური საზოგადოების აშენებამ ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სულ უფრო იზრდება ხალხის შეგნება, უფრო ფართოდ და სრულად ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, ხალხის ნამდვილი ხელისუფლება.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა განვახორციელოთ ჩვენი საუკუნის დიადი იდეა — კომუნიზმი.

რა არის კომუნიზმი, რომელსაც საბჭოთა ხალხი აშენებს? კომუნიზმი არის საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური, სადაც საწარმოო ძალები, მეცნიერება და ტექნიკა მიაღწევენ ისეთ დონეს, ხოლო საზოგადოებრივი სიმდიდრე ისეთ სიუხვეს, რომ შესაძლებელი იქნება განხორციელდეს პრინციპი: თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით. ადამიანთა უნარის ყოველმხრივ განვითარებასთან, მათი კომუნისტური შეგნების ზრდასთან ერთად ზოგადსაკაცობრიო კულტურა მიაღწევს სრულ აყვავებას. სამუდამოდ დამკვიდრდება ბედნიერი ცხოვრება ყველა მშრომელისათვის. რა შეიძლება იყოს ქვეყნად ამ მიზანზე უფრო სამართლიანი და შთამაგონებელი? რა შეუძლია რეაქციულ ბურჟუაზიას დაუპირდაპიროს კომუნიზმის ამ იდეალს? მუშათა და გლეხთა თავაშვებული ექსპლოატაცია, გამალებული შეიარაღება, გადასახადთა მზარდი ტვირთი, ახალი ომები, კრიზისები და უმუშევრობა, განუწყვეტელი ურწმენობა და შიში ხვალინდელი დღის წინაშე.

თითქმის სამი ათეული წელი საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა იყო, რომელსაც მუდამ ემუქრებოდა გარედან თავდასხმა. ეს დრო წარსულს ჩაბარდა, სსრ კავშირი უკვე დიდი ხანია აღარ არის სოციალიზმის კუნძული კაპიტალისტური სახელმწიფოების ოკეანეში. ახლა საბჭოთა კავშირი გამოდის დიდ სახალხო ჩინეთთან, ევროპისა და აზიის ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ერთად. სოციალიზმი მსოფლიო სისტემა გახდა, რომელიც 950 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს. განუზომლად გაიზარდა, გაფართოვდა და განმტკიცდა სსრ კავშირის მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირი დედამიწის ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

მთელი ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა ქვეყანა, ხელმძღვანელობს რა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპით, განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს ყველა ქვეყანასთან მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთსასარგებლო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კვლავაც არ დაიშურებს ძალებს, რათა დაიცვას და შეინარჩუნოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების საგუშაგოზე დგანან გამარჯვებათა დიდებით მოსილი, ხალხთან განუყრელად დაკავშირებული, მზრუნველობითა და სიყვარულით გარემოსილი მძლავრი შეიარაღებული ძალები საბჭოების ქვეყნისა. მათი ძლიერების მთავარი წყაროა ის, რომ მათი ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და აღმზრდელია ჩვენი კომუნისტური პარტია.

ჩვენი საყვარელი სამშობლო დიდი ოქტომბრის მეორმოცე წლისთავს ხვდება თავისი ძალებისა და შემოქმედებითი ნიჭის აყვავების ხანაში. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხის გამოცდილი ბელადი და ყველა ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელი, მტკიცედ მიუძღვის მას კომუნიზმისაკენ. კომუნისტური პარტია ჩვენი ხალხის მთელი შემოქმედებითი საქმიანობის სული და ტვინია, კომუნისტური საზოგადოების დიდი ხუროთმოძღვარია.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო, თანამემამულეებო!

დაე საბჭოთა სახელმწიფოს მომავალი მეხუთე ათეული წელიწადი ჩვენი ძვირფასი სოციალისტური სამშობლოს უფრო მეტი აყვავების ათეული წელიწადი იყოს. საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი მიღწევებისათვის! კიდევ უფრო მეტი გამარჯვებებისათვის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში! მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის!

კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ რიგები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის მეორმოცე წლისთავს!

დიდება გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნისტური საზოგადოების მშენებელს!

მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო.**

მოსკოვი, 1957 წლის 6 ნოემბერი.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა

## მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელისადმი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისადმი, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებისადმი, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი

ორმოცი წლის წინათ, როცა მსოფლიო ომი იყო გაჩაღებული, რუსეთში იშვა მსოფლიოში პირველი მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფო, და მისი პირველი საკანონმდებლო აქტი იყო ისტორიული „დეკრეტი ზავის შესახებ", დაწერილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელით. ცოტა ხნის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფომ „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციაში" წამოაყენა ხალხებს შორის ნამდვილად თანასწორუფლებიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარების პროგრამა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ, ისტორიაში ჯერ უმაგალითო საგარეო პოლიტიკას, მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა პოლიტიკას, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებით. ამით დასაბამი მიეცა საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მომაგრებული, მაგრამ გამსჭვალული იყო თავისი საქმის ისტორიული სიმართლის რწმენით, ზავი და თანამშრომლობა შესთავაზა ყველა სახელმწიფოს. ხოლო როცა მას თავს დაესხნენ კონტრრევოლუციის ძალები და მოეწყო სამხედრო ინტერვენცია, საბჭოების რესპუბლიკამ დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს დაიცვას თავი და დაიცვას სოციალისტური მონაპოვარნი.

ამჟამად საბჭოთა კავშირი, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიადი გარდაქმნები განახორციელა, მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა, თავისი ძალების აყვავების ხანას განიცდის და ერთგული მეგობრები ჰყავს მთელ მსოფლიოში.

და დღეს, როცა ორმოცი წელი გავიდა საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობიდან, რომელმაც დაამტკიცა „დეკრეტი ზავის შესახებ", საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო საქვეყნოდ მიმართავს ყველა ხალხს და მოუწოდებს დაუცხრომლად განამტკიცონ მშვიდობის საქმე, ყოველი ღონისძიებით განავითარონ მეგობრობა და თანამშრომლობა ხალხებს შორის.

მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფო მშვიდობის საქმეს იცავს. მისთვის უცხოა აგრესიული მისწრაფებანი, მას არ ესაჭიროება კოლონიები და გავლენის სფეროები, იგი თვით თავისი ბუნებით ყოველგვარი დამონებისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ექსპლოატაციისაგან ყველა მშრომელის განთავისუფლების, კოლონიური უღლისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ეპოქა. საბჭოთა კავშირის ხალხები თანაგრძნობით ეკიდებიან კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ღრმად ესმით მათი მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრის გადარჩენისადმი იმპერიალისტური მონოპოლიების მიერ დატაცებისაგან.

XX საუკუნის პირველი ნახევარი აღინიშნა მსოფლიო-ისტორიული მოვლენებით, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მთელი კაცობრიობის ბედზე. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყველაზე დიდი ისტორიული მოვლენა იყო სახალხო რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მშრომელები. ამ ქვეყნების ხალხებს შორის დამყარდა ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

დადგა სოციალიზმის ერა, რომელზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები. მან გამოიწვია საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობა, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სწრაფი განვითარება.

ყველა პროგრესული ადამიანი მხურვალედ ულოცავს საბჭოთა კავშირს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების წარმატებით გაშვებას, რაც საპლანეტთაშორისო მიმოსვლის ეპოქის დასაწყისს მოასწავებს. ეს დიდად ახარებს საბჭოთა ადამიანებს, მაგრამ ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მეცნიერების უდიდესი მიღწევები — ატომგულის ენერგიის გამოყენება, საკონტინენტთაშორისო რაკეტები, დედამიწის თანამგზავრები — მხოლოდ საერთაშორისო მშვიდობის პირობებში შეიძლება ჩაყენებულ იქნან მთელი კაცობრიობის სამსახურში და მის საკეთილდღეოდ.

მშვიდობა ესაჭიროება ყველა ხალხს, იგი ესაჭიროებათ საბჭოთა კავშირის ხალხებსაც იმისათვის, რომ ააშენონ ახალი, კიდევ უფრო მშვენიერი და ნათელი მომავალი.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, სამწუხაროდ, მუდამ აწყდება გავლენიანი წრეების წინააღმდეგობას დასავლეთის ქვეყნებში და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მმართველი წრეები პრეტენზიას აცხადებენ მთელი მსოფლიოსადმი ხელმძღვანელობაზე, ე. ი. მსოფლიო ბატონობაზე. ბუნებრივია, რომ არც ერთ თავისუფლებისმოყვარე ხალხს არ შეუძლია დაეთანხმოს ვისიმე უცხო ხელმძღვანელობას, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას იწვევს.

საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს არ აცხადებდა და არ აცხადებს სხვა ქვეყნებისადმი ხელმძღვანელობის პრეტენზიას. იგი პატივს სცემს ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, ცდილობს განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. იგი მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილ ხუთ პრინციპს: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემას, თავდაუსხმელობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თანასწორობასა და ურთიერთსარგებლობას, მშვიდობიან თანაარსებობას. ეს პრინციპები ფართოდ აღიარეს აზიისა და აფრიკის ხალხებმა, რომლებმაც დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, ცეილონის, ავღანეთის, ეგვიპტის, სირიისა და სხვა ქვეყნების ხალხებს თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ ახალი ომის თავიდან აცილების საქმეში, მშვიდობის დაცვის დიად და კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის ხალხები ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათთან ერთად თანმიმდევრულად და მტკიცედ ეწევიან მშვიდობისათვის ბრძოლას ყველა სოციალისტური სახელმწიფოს ხალხები. მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის აქტიურად გამოდის ბევრი არასოციალისტური მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო და მშვიდობის მომხრეთა დიადი მსოფლიო მოძრაობა.

მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც აბრკოლებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ეწევიან ცივ ომს, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას და ქმნიან ახალი გამანადგურებელი ომის საფრთხეს.

მშვიდობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას. და იგი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირებით, მათი ორგანიზებულობისა და აქტივობის გაძლიერების გზით.

მუშებო და გლეხებო, მეცნიერებო და კულტურის მოღვაწეებო, ყველა ქვეყნის პარლამენტების დეპუტატებო! თვითონ ჩვენზე, ჩვენს ერთობლივ ღონისძიებებზეა დამოკიდებული ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება და მტკიცე მშვიდობის დამყარება.

კეთილი ნების ადამიანებო! თქვენ ძალგიძთ ალაგმოთ ის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ხალხთა ინტერესებს და ატრიალებენ მათს ბედს. დროა უკუგდებულ იქნას „ძალის პოზიციის" პოლიტიკა და შეიცვალოს იგი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკით, სახელმწიფოთა შორის ნდობის ურთიერთობის, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის დამყარების პოლიტიკით.

ჩვენ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ეს აზრები და გრძნობები ფართო გამოხმაურებას ჰპოვებენ ყველა იმათ გულში, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ინტერესები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა ხალხს, ყველა მუშასა და გლეხს, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, პარლამენტებსა და მთავრობებს მიმართავს მოწოდებით — მტკიცედ იბრძოლონ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, მიაღწიონ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო შემცირებას, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას, მიაღწიონ შეთანხმებას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, შექმნან ევროპასა და აზიაში კოლექტიური უშიშროების სისტემა, ყველა ღონისძიებით განავითარონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, განამტკიცონ ნდობა ხალხებს შორის.

შეგნებული აქვს რა თავისი პასუხისმგებლობა და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელი სერიოზულობა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს მიმართავს მოწოდებით გააჩაღონ აქტიური მოქმედება ახალი ომის თავიდან ასაცილებლად.

მშვიდობის საქმე თვით ხალხების ხელშია!

ყველა ქვეყნის ხალხებო, გააერთიანეთ თქვენი ღონისძიებანი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად!

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო.**

მოსკოვი, 1957 წლის 6 ნოემბერი.

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის მუშებო, კოლმეურნეებო, ინტელიგენციავ!

ჩვენო ძვირფასო უცხოელო სტუმრებო, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამობრძანდით დედამიწის ყოველი კუთხიდან!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მხურვალედ მოგილოცავთ დიდ და სასიხარულო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს!

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და უცხოელ სტუმრებთან ერთად, რათა აღვნიშნოთ ჩვენი დიდი დღესასწაული. ოქტომბრის მეორმოცე წლისთავი სსრ კავშირში გამარჯვებული სოციალიზმის დღესასწაულია, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალური დღესასწაულია.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ისტორიაში. მთელი მსოფლიო საფუძვლამდე შეიძრა, როცა რუსეთის პროლეტარიატმა ღარიბეს გლეხობასთან ერთად ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ლენინის მეთაურობით თავის ხელში აიღო ძალაუფლება და გამოაცხადა ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დაბადება. მსოფლიოში პირველმა მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ მაღლა აღმართა ბრძოლისა და გამარჯვებათა დიდებით მოსილი რევოლუციური წითელი დროშა სოციალიზმისა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშა.

ოქტომბრის რევოლუციის მეორმოცე წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები მთელ კაცობრიობას უჩვენებენ სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებებს. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს თავისი თავი მუდამ მიაჩნდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ რაზმად და თავის წარმატებებს თვლის ყველა ქვეყნის მშრომელთა გამარჯვებად, თავის წვლილად იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ბორკილებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების დიად საქმეში, ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

იხსენებენ რა ოქტომბრის გადატრიალების ისტორიულ დღეებს, თვალს ავლებენ რა სოციალისტური სამშობლოს სახელოვან გზას, ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი სიყვარულით წარმოთქვამენ იმ ადამიანის ნათელ სახელს, ვისი უკვდავი გენია, რევოლუციური მებრძოლის უდრეკი ნება აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს მილიონობით მშრომელ ადამიანს კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს.

ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით ვლადიმერ ილიას-ძე შთაგონებულად წერდა:

„ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება **დაგვეწყო** საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, **დაგვეწყო** ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, **ახალი** კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრულია და ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისა და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის“ (თხზ., ტ. 33, გვ. 42).

ორმოცი წლის წინათ ჩვენი სამშობლო, იმპერიალისტური ომით დატანჯული, უაღრესად მძიმე ეკონომიურ ნგრევას განიცდიდა, კატასტროფის პირას იყო. ბურჟუაზიისა და მემამულეთა პოლიტიკამ რუსეთი განწირა იმპერიალისტი მტაცებლების მიერ დანაწილებისათვის, დასავლეთის უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიად გადაქცევისათვის. მენშევიკებისა და ესერების პარტიები ეხმარებოდნენ ბურჟუაზიასა და მემამულეებს განეხორციელებინათ ეს მოღალატური პოლიტიკა, და მხოლოდ ერთი პარტია გამოვიდა როგორც ნამდვილი პატრიოტული და რევოლუციური ძალა, რომელიც გამოხატავდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ძირეულ ინტერესებს, მთელი ხალხის მისწრაფებებსა და ნატვრას. ეს იყო ბოლშევიკების სახელოვანი ლენინური პარტია — ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი.

ჩვენი ხალხი მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო და მტკიცედ გაჰყვა მას, უკაფავდა რა კაცობრიობას გზას ბედნიერი და ნათელი მომავლისაკენ — სოციალიზმისაკენ. ეს იყო ახალი, ისტორიაში უკვლევი გზა. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, მშრომელებმა, რომლებიც პირველად გახდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი, გამოიჩინეს უმაგალითო სიმტკიცე, გმირობა და მამაცობა სოციალისტურ მონაპოვართა დაცვაში, უსაზღვრო ერთგულება რევოლუციის საქმისადმი, თავდადება სიძნელეებისა და გაჭირვების დაძლევაში, ურყევი სიმტკიცე და ნამდვილი ხალხური სიბრძნე ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებაში უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

იმპერიალისტებს არ შეეძლოთ შერიგებოდნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში. მათ არ შეეძლოთ შერიგებოდნენ მას არა მარტო იმიტომ, რომ ჩაიფუშა მათი გეგმები ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამონებისა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ოქტომბრის რევოლუცია გახდა შთამაგონებელი მაგალითი ყველა კაპიტალისტური ქვეყნის პროლეტარიატისათვის, კოლონიების ხალხებისათვის, იგი მოასწავებდა გამანადგურებელ ლახვარს იმპერიალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის წინააღმდეგ.

ცდილობდნენ რა უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი, იმპერიალისტებმა თავს მოგვახვიეს სამოქალაქო ომი, დაიწყეს სამხედრო ინტერვენცია იმ იმედით, რომ შეიარაღებული ხელით აკვანში ჩაახრჩობდნენ სოციალისტურ რევოლუციას.

ჩვენი ქვეყნის ხალხებმა სასტიკი ბრძოლით დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვარნი. საბჭოთა რუსეთის მშრომელებთან ერთად რევოლუციის მტრების წინააღმდეგ იბრძოდნენ ინტერნაციონალური ნაწილები, რომლებიც შედგენილი იყვნენ რევოლუციურად განწყობილი ჩინელი, უნგრელი, პოლონელი, იუგოსლავი, ფინელი, რუმინელი, გერმანელი, ჩეხოსლოვაკი ამხანაგებისაგან, სხვა ქვეყნების მშრომელებისაგან, რომლებიც მაშინ საბჭოთა რუსეთში იმყოფებოდნენ. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწიეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასმა, მშრომელებმა. ცხოვრებამ ცხადყო, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც იცავენ თავიანთ ხელისუფლებას, თავიანთ მონაპოვართ, თუ ისინი კარგად არიან ორგანიზებულნი და სოციალიზმის იდეებით შთაგონებული, უძლეველი არიან. ინტერვენცია რომ ჩაიფუშა, იმპერიალისტებს სურდათ ეკონომიური ბლოკადით ჩაეხრჩოთ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა, მაგრამ საბჭოთა ხალხმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელები, მსოფლიო რეაქციის ეს ვერაგული განზრახვაც ჩაშალა.

კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, საერთაშორისო იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლაში, ძლევდნენ რა კლასობრივი მტრების გაავთრებულ წინააღმდეგობას, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში ააშენეს სოციალიზმი. მათ მთელ მსოფლიოს უჩვენეს კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებული ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალები, რომლებიც განვითარდნენ გიგანტურ შემოქმედებითს შრომაში.

ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა შეუნელებელი ყურადღებით და მხურვალე სიმპათიით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა ადამიანების უმაგალითო შრომითს გმირობას პირველი ხუთწლედების წლებში, უხაროდათ საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვებანი.

ამავე დროს მსოფლიო იმპერიალიზმის მესვეურები ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის მოსპობის სისხლიან გეგმებს. 1941 წელს იმპერიალისტებმა ჩვენს სამშობლოს მოუსიეს ყველაზე მხეცური დამრტყმელი ძალა — ჰიტლერული ფაშიზმი. ფაშისტ დამპყრობთა ვერაგული თავდასხმით თავსმოხვეული ომი საბჭოთა წყობილების სიმტკიცის, სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის მკაცრი გამოცდა იყო.

საბჭოთა ხალხმა, მისმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომის მთავარი სიმძიმე გადაიტანეს. მათ არა მარტო დაიცვეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ გადამწყვეტი წვლილიც შეიტანეს ფაშისტური დამონების საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში. ზოგ ვინმეს სურს დუმილით აუაროს გვერდი ამ გამარჯვებას ან დააკნინოს მისი მნიშვნელობა. მაგრამ ვერავინ ვერ ამოშლის ხალხთა ხსოვნაში, ისტორიაში საბჭოთა ხალხის დიად გმირობას! არა მარტო ჩვენი თანამედროვენი, არამედ მომავალი თაობებიც მუდამ წმიდად შეინახავენ გმირი მებრძოლების ხსოვნას, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გაანადგურეს ფაშისტთა ურდოები, პატივს სცემენ იმათ ხსოვნას, ვინც იხსნა კაცობრიობის ნათელი მომავალი.



საბჭოთა ხალხისა და მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალების მხარდამხარ ეწეოდნენ მამაცურ ბრძოლას გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის ხალხები, ხოლო შემდეგ რუმინეთის, ბულგარეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალებიც. იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს გმირმა ჩინელმა ხალხმა და მისმა სახელოვანმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ. ჰიტლერული გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზმის წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ხალხთა საერთო ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა ქვეყნების ხალხებმა.

მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის იმპერიალიზმზე დიადი გამარჯვების შედეგად ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა მოიშორეს კაპიტალისტური და კოლონიური ჩაგვრის უღელი, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი გახდნენ და სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ.

საბჭოთა ხალხი მუდამ გრძნობდა და გრძნობს საერთაშორისო პროლეტარიატის, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა მეგობრულ, ძმურ მხარდაჭერას. პირველმა გაარღვია რა იმპერიალიზმის ფრონტი 1917 წელს, ააშენა რა სოციალიზმი, გაანადგურა რა ჰიტლერული სამხედრო მანქანა, ჩვენმა ქვეყანამ პირნათლად მოიხადა თავისი ინტერნაციონალური ვალი ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების წინაშე.

გაიმარჯვა რა თავდაპირველად ერთ ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში, სოციალიზმი ახლა ძლიერი მსოფლიო სისტემა გახდა. ჩვენ ბედნიერი და მოხარული ვართ, რომ საბჭოთა ხალხს მხარში უდგას ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხი, რომელსაც მეთაურობს მისი სახელოვანი კომუნისტური პარტია, მხარში უდგანან სოციალიზმის მშენებელი ყველა ქვეყნის მშრომელები თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით.

დღესასწაულობს რა დღეს დიდი ოქტომბრის მეორმოცე წლისთავს, ყველა საბჭოთა ადამიანი ღრმესი მადლობით მოიგონებს იმათ, ვინც თავისი გმირული ბრძოლით, თავდადებული შრომით უზრუნველყოფდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებებს, იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და აყვავებისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხები სამუდამოდ შეინახავენ იმ ამხანაგთა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს რევოლუციის საქმეს, მის მონაპოვართა დაცვას, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

საბჭოთა ხალხი ამ ღირსშესანიშნავ დღეს გულითადი მადლობისა და მისალმების სიტყვებით მიმართავს ყველა ქვეყნის მუშათა კლასს, მშრომელებს, რომლებიც ყოველთვის ძმურად უჭერდნენ მხარს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს, მშრომელებს სოციალიზმის საქმისათვის, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

ჩვენს დღევანდელ საზეიმო სხდომას ესწრებიან ყველა სოციალისტური ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები, 61 ქვეყნის ძმური კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები. აქ ესწრებიან მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმები ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს.

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით აქ დამსწრეთ:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით;

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ენვერ ხოჯას მეთაურობით;

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ იანოშ კადარის მეთაურობით;

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ხო ში მინის მეთაურობით;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით;

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარისა და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ამხანაგ კიმ ირ სენის მეთაურობით;

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ დაშიინ დამბას მეთაურობით;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვლადისლავ გომულკას მეთაურობით;

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ კივუ სტოიკას მეთაურობით;

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით;

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრის, იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ ედვარდ კარდელის მეთაურობით;

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ მორის ტორეზის მეთაურობით;

იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ პალმირო ტოლიატის მეთაურობით;

ავსტრიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ იოჰან კოპლენიგის მეთაურობით;

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის აღმასკომის თავმჯდომარის ამხანაგ ჰარი პოლიტის მეთაურობით;

გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ მაქს რაიმანის მეთაურობით;

ესპანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ დოლორეს იბარურის მეთაურობით;

ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ აჯოი გჰოშის მეთაურობით;

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ სუდისმანის მეთაურობით;

იაპონიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ იოსიო სიგას მეთაურობით;

სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტიის დელეგაციას;

კანადის მუშათა პროგრესული პარტიის დელეგაციას პარტიის ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ტიმ ბაკის მეთაურობით;

ფინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ვილე პესის მეთაურობით;

არგენტინის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ვიქტორიო კოდოვილიას მეთაურობით;

მექსიკის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ დიონისიო ენსინას მეთაურობით;

შვეციის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ჰილდინგ ჰაგბერგის მეთაურობით;

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ემილ ლევლიენის მეთაურობით;

ავსტრალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლორენს შარკის მეთაურობით;

შვეიცარიის შრომის პარტიის დელეგაციას პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ედგარ ვოოგის მეთაურობით;

ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ დომინიკ ურბანის მეთაურობით;

ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციას პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ეინარ ოლგეირსონის მეთაურობით;

ისრაელის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ სამუილ მიკუნისის მეთაურობით;

ურუგვაის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ეროვნული კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ როდნეი არისმენდის მეთაურობით;

მაროკოს კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ ალი-იათას მეთაურობით;

ტუნისის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ მოჰამედ ჰარმელის მეთაურობით;

ეკვადორის კომუნისტური პარტიის დელეგაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ პედრო საადის მეთაურობით.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულ ეროვნულ და სახალხო ფრონტებში შემავალი დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელ მოღვაწეებს, პარტიებისა, რომლებიც კომუნისტებთან ერთად აშენებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტურ საზოგადოებას: ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის, ვიეტნამის დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, დემოკრატიული გლეხური პარტიებისა და ქრისტიან დემოკრატთა კავშირის, პოლონეთის გლეხთა გაერთიანებული პარტიისა და დემოკრატიული პარტიის, ჩეხოსლოვაკიის სახალხო და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

ჩვენ გულითადად მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე ჩამოსულ მუშათა მოძრაობის სახელოვან ვეტერანებს, რომელთაგან ბევრმა პირადად მიიღო აქტიური მონაწილეობა დიდი ოქტომბრის იდეების გამარჯვებისა და ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით სხვა პარტიების წარმომადგენლებსა და დელეგაციათა წევრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენში ოქტომბრის წლისთავის დღესასწაულზე.

ჩვენ აგრეთვე მხურვალედ მივესალმებით ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულ საზღვარგარეთის მშრომელთა და პროფკავშირთა, კულტურის მოღვაწეთა, მეცნიერთა, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დელეგაციებს.

## I.

## მთავარი შედეგები ჩვენი ქვეყნის განვითარებისა საბჭოთა ხელისუფლების 40 წლიწადში

ამხანაგებო!

ყოველი რევოლუციის მთავარი, ძირეული საკითხია ხელისუფლების საკითხი. კაცობრიობის ისტორიაში ცოტა რევოლუცია როდი იყო, მაგრამ არც ერთ მათგანს წარსულში არ მოჰყოლია მშრომელი ხალხის გამარჯვება ექსპლოატატორულ კლასებზე, არც ერთს არ განუმტკიცებია მშრომელთა ხელისუფლება. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ისტორიაში პირველად საბოლოოდ გადაწყვიტა ეს საკითხი მშრომელთა სასარგებლოდ, ხალხის სასარგებლოდ, და ამით დასაბამი მისცა ახალ ერას — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას.

თითქმის 170 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გამოაცხადა თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის ლოზუნგი. მაგრამ, გამოაცხადა რა ეს ლოზუნგი ძალაუფლებისათვის თავისი ბრძოლის პერიოდში, ბურჟუაზიას ნამდვილად არასოდეს არც უფიქრია მის განხორციელებაზე. სწორედ საფრანგეთში მუშათა კლასი, მშრომელი მასები არაერთხელ აღმდგარან ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად და 1871 წელს იქ გამოცხადდა სახელოვანი პარიზის კომუნა, რომელიც იყო მუშათა კლასის, მშრომელთა პირველი ცდა დაემყარებინათ თავიანთი ხელისუფლება, განემტკიცებინათ პროლეტარიატის დიქტატურა. ბურჟუაზიის რეაქციულმა ძალებმა მუშათა სისხლის მორევში ჩაახრჩეს პარიზის კომუნა. ამ სასტიკი სისხლისღვრით გამოვლინდა ბურჟუაზიის მხეცური სიძულვილი მუშათა კლასისადმი. როცა საფრთხე მოევლინა საფრანგეთის ბურჟუაზიის ბატონობას, მან, აჯანყებული ხალხის წინაშე შიშით მოცულმა დაივიწყა თავისი შინაური უთანხმოება, თავისი დიდი ხნის მტრობა პრუსიელ მილიტარისტებთან, შეუერთდა გერმანიის რეაქციულ ძალებს, და გერმანიის ჯარები დაიძრნენ პარიზის კომუნის დასათრგუნავად. ეს ისტორიული ფაქტი ცხადყოფს, რომ მუშათა კლასის ხელისუფლების დამყარების პირველი ცდისთანავე სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზია აერთიანებდა ძალებს რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ვერავითარმა სისხლისღვრამ ვერ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება).

აღმოფხვრა მშრომელი მასების დაუცხრომელი მისწრაფება კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებისადმი. და მუშათა კლასის, ყველა ქვეყნის მშრომელთა ამ ბრძოლაში პარიზის კომუნა რევოლუციური გმირობის შთამაგონებელი მაგალითი იყო.

რუსეთის მუშათა კლასი, აჩაღებდა რა ბრძოლას თავისი განთავისუფლებისათვის, ითვალისწინებდა როგორც თავისი ქვეყნის, ისე აგრეთვე სხვა ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებასა და გაკვეთილებს. რუსეთმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხატოვანი თქმით, მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, ჭეშმარიტად ტანჯვით მოიპოვა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით.

მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში წარმოიშვა, განმტკიცდა და გამოიწრთო კომუნისტური პარტია, რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა ყოველივე უაღრესად მოწინავე, რევოლუციური. ამ პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მშრომელებმა გამოიარეს 1905 წლის რევოლუციისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ქარიშხალი, მოახდინეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას ჩვენს ქვეყანაში. განამტკიცა რა საბჭოთა ხელისუფლება, ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის ხალხები, დასაბამი მისცა მშრომელთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობას, ყველა ხალხის ძმობას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სანამ არსებობენ ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასები, არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი თანასწორობა. ოქტომბრის რევოლუციის დიდი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება, ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები, მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ჩვენ, მარქსისტებს, რომლებიც კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე ვდგავართ, ხშირად ბრალად გვდებენ სისასტიკეს, ამტკიცებენ, მაგალითად, რომ ოქტომბრის რევოლუციას თითქოს თან ახლდა მრავალი მსხვერპლი. ნამდვილად კი ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა 1917 წლის ოქტომბერში, თუმცა იგი განხორციელებული იყო მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებული აჯანყების გზით, ისე მოხდა, რომ დიდი სისხლისღვრა არ ყოფილა. ისტორიული დოკუმენტებით ცნობილია, რომ ზამთრის სასახლის იერიშის დროს ორივე მხარის ზარალი მეტად უმნიშვნელო იყო. აგრეთვე კარგად არის ცნობილი, რომ მუშათა კლასმა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებული სულგრძელობა და ჰუმანურობა გამოიჩინა: ზოგიერთი გენერალიც კი, კონტრრევოლუციური ამბოხების მონაწილე, ისეთი, მაგალითად, როგორიც იყო კრასნოვი, 1917 წელს განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან „პატიოსანი სიტყვით“. ეს სულგრძელობა ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა ალბათ მიიჩნიეს პროლეტარული რევოლუციის სისუსტის გამოვლინებად. დამხობილმა კლასებმა მოაწყეს შეიარაღებული ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გააჩაღეს სამოქალაქო ომი ჩვენს ქვეყანაში. შინაური კონტრრევოლუციის მხარდასაჭერად გამოვიდნენ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტთა თავით ფეხთამდე შეიარაღებული არმიები. ახსოვდა რა პარიზის კომუნის გაკვეთილები, 1905 წლის რევოლუციისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გაკვეთილები, რუსეთის მუშათა კლასი იძულებული იყო იარაღით ხელში გამოსულიყო თავის რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად.

ამრიგად, არა ბოლშევიკებს, არა მუშათა კლასსა და მშრომელებს, არამედ რევოლუციის მიერ დამხობილ ექსპლოატატორულ კლასებს მსოფლიო კაპიტალიზმის რეაქციულ ძალებთან ერთად მიუძღვით ბრალი სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლების ხანგრძლივ და უსასტიკეს ბრძოლაში. ოქტომბრის რევოლუცია ყველაზე ჰუმანური რევოლუციაა, რადგან მან ექსპლოატატორთა უღლისაგან გაათავისუფლა მილიონობით მშრომელნი, ეროვნული ჩაგვრისაგან გაათავისუფლა რუსეთის ყველა ხალხი, შეგნებული შემოქმედებისათვის დარაზმა ხალხის უფართოესი მასები, შექმნა უმაღლესი ტიპი დემოკრატიისა — სოციალისტური დემოკრატიისა, დემოკრატიისა მშრომელებისათვის, მთელი ხალხისათვის.

როცა ოქტომბრის რევოლუციამ წარმოების საშუალებები წაართვა ექსპლოატატორებს და საზოგადოებრივ საკუთრებად გადააქცია ისინი, ბურჟუაზიამ შექმნა ლეგენდა, რომ მშრომელებს უნარი არ შესწევთ მართონ სახელმწიფო, განავითარონ საზოგადოებრივი წარმოება. საპნის ბუშტივით გასკდა ეს საზიზღარი მონაჭორი!

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ორმოცი წლის გამოცდილებით დამაჯერებლად დამტკიცდა თავისუფალი შრომის უდიდესი უპირატესობანი მონური შრომის წინაშე, უპირატესობანი თავისთვის შრომისა — ექსპლოატატორებისათვის შრომის წინაშე, ეკონომიკის გეგმიანი განვითარების უპირატესობანი წარმოების ანარქიის და მაქსიმალური მოგებისადმი მისწრაფების წინაშე. სოციალისტურმა მშენებლობამ გამოიწვია მშრომელთა მილიონიანი მასების აქტივობის უმაგალითო აღმავლობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებით.

სოციალისტური მშენებლობისათვის უმაგალითოდ რთულ და ძნელ მუშაობაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდნენ სოციალიზმის აშენების ბრძნული ლენინური გეგმით, თანმიმდევრულად ახორციელებდნენ პარტიის გენერალურ ხაზს — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განხორციელების ხაზს.

ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. მხოლოდ საკუთარი მძლავრი ინდუსტრიის დახმარებით შეეძლო ჩვენს ქვეყანას, რომელიც კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში იმყოფებოდა, შეენარჩუნებინა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, შეეძლო უზრუნველეყო თავისი დამოუკიდებლობა და წარმატებით გადაეჭრა სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები მისი ტექნიკურად ხელახლა შეიარაღების საფუძველზე. მხოლოდ წვრილი გლეხური მეურნეობების კოოპერირებისა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის საშუალებით შეიძლებოდა, რომ გლეხობა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდა, გამოგვეყვანა საუკუნეობრივი გაჭირვებიდან, უზრუნველგვეყო მისი აქტიური მონაწილეობა ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მხოლოდ კულტურული რევოლუციის განხორციელების მეოხებით შეიძლებოდა ბოლო მოგვეღო წერაკითხვის უცოდინარობისა და უმეცრებისათვის — მეფის რუსეთის ამ მძიმე მემკვიდრეობისათვის, ჩაგვეყენებინა მეცნიერებისა და კულტურის ყველა მიღწევა ხალხის სამსახურში, შეგვექმნა ახალი, ნამდვილად სახალხო ინტელიგენცია, უზრუნველგვეყო მძლავრი აღმავლობა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ეს ძნელი გზა იყო. ეს მოითხოვდა დიდ ორგანიზებულობას, რკინისებურ დისციპლინას, შემოქმედებითს ინიციატივასა და თავდადებას დიადი მიზნის მიღწევისათვის — სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. მუშათა კლასმა, რომელმაც გმირობის სასწაულები მოახდინა ხელისუფლებისათვის რევოლუციურ ბრძოლაში, ყველა ეს ძვირფასი თვისება გამოიჩინა სოციალიზმის მშენებლობისათვის შემოქმედებითს შრომაში, თავისი შთამაგონებელი მაგალითით გაიყოლია გლეხობის მრავალმილიონიანი მასები, მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები არ შეუშინდნენ სიძნელეებსა და გაჭირვებას და უმაგალითოდ მოკლე ვადაში შექმნეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი ინდუსტრია.

სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების განხორციელება გამარჯვებით დაგვირგვინდა იმის მეოხებით, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მთელ თავიანთ მოღვაწეობაში ეყრდნობოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევ კავშირს, რომელიც, ლენინის განსაზღვრით, ქვეყნად ყველაზე სასწაულებრივი ძალაა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად სსრ კავშირში განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა. ისტორიაში პირველად გადაიჭრა ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი თანამედროვე მრეწველობა, აღიზარდნენ მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები, ყოველმხრივ განვითარდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

პირველი ხუთწლედების მანძილზე ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ — სოციალიზმის უძლეველ ბურჯად. თუ რა ძლიერებას მიაღწია საბჭოთა კავშირმა უკვე იმ პერიოდში, ეს თვალნათლივ გვიჩვენა საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში, რომლის ცეცხლში საბჭოთა წყობილებამ მძიმე განსაცდელს გაუძლო, კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო.

ომისშემდგომი პერიოდი საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში აღინიშნა ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალი წარმატებებით. ომით მიყენებული ჭრილობები რომ მოიშუშა, ჩვენმა ქვეყანამ წინ გასწია კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ შემდეგი მონაცემებით.

ფოლადის გამოდნობა 1913 წლის 4,2 მილიონი ტონიდან გადიდდა 51 მილიონ ტონამდე 1957 წელს. თუ 1913 წელს ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა 2,5-ჯერ ნაკლებ თუჯს, ვიდრე ინგლისი, და ნაკლებს, ვიდრე საფრანგეთი, ახლა ჩვენ ვაწარმოებთ მნიშვნელოვნად მეტ თუჯს, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია ერთად.

ევროპაში პირველი ადგილი და მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ახლა სსრ კავშირს ქვანახშირის ამოღების მხრივ და მსოფლიოში მესამე ადგილი ნავთობის ამოღების მხრივ. 1913 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 29,1 მილიონი ტონიდან 462 მილიონ ტონამდე გადიდდა 1957 წელს, ნავთობის ამოღება — 9,2 მილიონი ტონიდან 98 მილიონ ტონამდე. ნავთობის ამოღების მარტო მატებამ გასული წლის მანძილზე თითქმის ერთნახევარჯერ გადააჭარბა ნავთობის მთელ წლიურ ამოღებას რევოლუციამდელ რუსეთში.

ელექტროენერგიის წარმოება 1913 წლის 1,9 მილიარდი კილოვატ-საათიდან გადიდდა 210 მილიარდ კილოვატ-საათამდე 1957 წელს. მარტო კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ვადამდე ამუშავდა სრული სიმძლავრით ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის, ყოველწლიურად გამოიმუშავებს ხუთჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე იძლეოდა რუსეთის ყველა ელექტროსადგური 1913 წელს. 20-ჯერ გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მუშის ელექტროაღჭურვილობა მრეწველობაში. ელექტროფიცირებულია ყველა ქალაქი და თითქმის ყველა მუშათა დაბა, კოლმეურნეობათა მესამედზე მეტი.

რაც შეეხება მანქანათმშენებლობას, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესის საფუძველია, საკმარისია ითქვას, რომ 1913 წელთან შედარებით მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია სსრ კავშირში გადიდდა 200-ჯერ და მეტად.

1913 წელთან შედარებით სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა 1957 წელს 33-ჯერ, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოება — 74-ჯერ. განვიხილავთ რა ამ მონაცემებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ორმოცი წლიდან თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდა ომებს, რომლებიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, აგრეთვე სახალხო მეურნეობის შემდგომ აღდგენას. მაშასადამე, სსრ კავშირის მრეწველობის ესოდენ მძლავრი აღმავლობა მიღწეულია ფაქტიურად არა ორმოც წელიწადში, არამედ ოც-ოცდაორ წელიწადში.

თუ რამდენად სერიოზულად გააძნელა საბჭოთა ეკონომიკის განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება იმპერიალისტების სამხედრო ავანტიურებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამას მოწმობენ თუნდაც შემდეგი მონაცემები. ჰიტლერული გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას მიაყენა ზარალი, რომელმაც სამხედრო ხარჯებთან ერთად და იმ რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისაგან შემოსავლის დროებით დაკარგვასთან ერთად, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 2 ტრილიონ 569 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს კოლოსალური სახსრები მშვიდობიან მშენებლობას — ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზების, ელექტროსადგურების, საცხოვრებელი სახლების აგებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას რომ მოხმარებოდა, — ჩვენ უკვე დიდი ხანია გვექნებოდა მატერიალური დოვლათის სიუხვე.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი წარმატებით ავითარებდა და ავითარებს თავის ეკონომიკას. სამრეწველო წარმოების და განსაკუთრებით მთელი ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე მრეწველობის ისეთი სწრაფი ზრდა, როგორიც მიღწეულია სსრ კავშირში, ისტორიას არ ახსოვს. სამრეწველო წარმოების მოცულობა დაახლოებით 30-ჯერ რომ გაედიდებინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებს, გერმანიასა და ინგლისს 80-150 წელიწადი დასჭირდათ.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების აბსოლუტური ოდენობით საბჭოთა კავშირმა უკვე დიდი ხანია შორს ჩამოიტოვა ევროპის ყველაზე დიდი კაპიტალისტური ქვეყნები — ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია. წარმატებით წყდება ამოცანა, რომ ისტორიულად მოკლე ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით შრომის ნაყოფიერების გადამწყვეტი მნიშვნელობა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. რევოლუციამდელ რუსეთში შრომის ნაყოფიერება ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში. ამჟამად სსრ კავშირმა შრომის ნაყოფიერების მხრივ უკვე გაუსწრო ინგლისსა და საფრანგეთს და ეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებს. 1913 წელთან შედარებით შრომის წლიური ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში გადიდდა დაახლოებით ცხრანახევარჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი მხოლოდ 2,3-ჯერ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენში შრომის ნაყოფიერება იზრდება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და შრომის პირობების გაუმჯობესების საფუძველზე.

მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის, სწრაფი განვითარება სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საშუალება იყო.

ლენინის კოოპერაციულმა გეგმამ გვიჩვენა ძალაუფლების აღების შემდეგ პროლეტარული რევოლუციის ამ უძნელესი ამოცანის გადაჭრის ერთადერთი სწორი გზა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ სსრ კავშირი გადააქცია მსოფლიოს ყველაზე მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყნად. ყველა საბჭოთა გლეხი გაერთიანდა კოლმეურნეობებში, რომელთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 80 ათასია. შეიქმნა 5.800 საბჭოთა მეურნეობა — მსხვილი სოციალისტური საწარმოები, რომლებსაც აქვთ დაახლოებით 55 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, ანუ ჩვენი ქვეყნის მთელი სახნავ-სათესი მიწის 25 პროცენტი. სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობს 1 მილიონ 632 ათასი ტრაქტორი (თხუთმეტძალიანზე გადაანგარიშებით), 420 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 660 ათასამდე სატვირთო ავტომობილი, მილიონობით სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ გარდაქმნათა, თანამედროვე ტექნიკით მისი აღჭურვის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წონა თითქმის ერთიორად შემცირდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია რამდენჯერმე გადიდდა. თითქმის სამჯერ გადიდდა რევოლუციამდელ 1913 წელთან — ყველაზე მოსავლიან წელთან შედარებით — მარცვლეულის სასაქონლო წარმოება, აქედან ხორბლისა 5-ჯერ, ნედლი ბამბის, მზესუმზირის და ბოსტნეულის სასაქონლო წარმოება — 6-ჯერ, შაქრის ჭარხლისა და კარტოფილისა — თითქმის 3-ჯერ.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა უკანასკნელი ოთხი წელი, რაც გავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, როცა პარტია და მთავრობა შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის ფართო პროგრამის განხორციელებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდება, სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის შემოღება და სხვ. ახლა სოფლის მეურნეობა მტკიცედ აძლიერებს თავისი განვითარების ტემპებს.

ნება მიბოძეთ მოვიყვანო ზოგიერთი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ სოფლის მეურნეობის განვითარებას უკანასკნელ წლებში. 1957 წელს მთელი ნათესი ფართობი სსრ კავშირში შეადგენდა 193,2 მილიონ ჰექტარს, ანუ 75 მილიონი ჰექტარით მეტს, ვიდრე 1913 წელს. ეს წარმატება თავისთავად თვალსაჩინოა, მაგრამ უფრო მეტი ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ნათესი ფართობის იმ მატებიდან, რაც მიღწეულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, დაახლოებით ნახევარი (36 მილიონი ჰექტარი) უკანასკნელ ოთხ წელიწადზე მოდის.

ნათესი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდის შედეგად მკვეთრად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავალი და დამზადება. აი ზოგიერთი მაჩვენებლები. 1957 წლის 1 ნოემბრისათვის მარცვლეულის დამზადება და სახელმწიფოს მიერ შესყიდვა 1953 წლის ამავე პერიოდთან შედარებით შეადგენს 120 პროცენტს, აქედან ხორბლისა — 143 პროცენტს, შაქრის ჭარხლისა — 175 პროცენტს, კარტოფილისა — 148 პროცენტს, ბოსტნეულისა — 179 პროცენტს, პირუტყვის დამზადებისა და შესყიდვისა — 148 პროცენტს, აქედან ღორის ხორცისა — 304 პროცენტს, რძისა და რძის პროდუქტებისა — 190 პროცენტს, მატყლისა — 142 პროცენტს, კვერცხისა — 165 პროცენტს. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებმა ერბო-კარაქი 1957 წლის ათ თვეში გამოიმუშავეს 234 ათასი ტონით, ანუ 68 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წლის ამავე პერიოდში.

მართალია, ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში და განსაკუთრებით ვოლგისპირეთში, ურალში და ყაზახეთის ზოგიერთ ოლქში გვალვასთან დაკავშირებით ჩვენმა ქვეყანამ წელს მიიღო ნაკლები მარცვლეული, ვიდრე შარშან. მაგრამ, გვალვის მიუხედავად, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მეოხებით სახელმწიფოს თავის განკარგულებაში საჭირო რაოდენობით აქვს მარცვლეული. თუ რა განსაკუთრებული როლი შეასრულა ყამირი მიწების ათვისებამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, ამას ასეთი ფაქტები მოწმობენ: 1957 წლის 1 ნოემბრისათვის დამზადებულია მარცვლეული (შემცვლელთა ჩაუთვლელად) ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში 1 მილიარდ 21 მილიონი ფუთი, ხოლო მთელ 1953 წელს ამ რაიონებში დამზადებული იყო 618 მილიონი ფუთი; ციმბირის რაიონებში შესაბამისად — 645 მილიონი ფუთი და 247 მილიონი ფუთი, აქედან მარტო ალტაის მხარეში დაახლოებით 280 მილიონი ფუთი მთელი 1953 წლის 29 მილიონი ფუთის ნაცვლად. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანა ყამირი მიწების ათვისებისა შესაბამება ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი უბანი დიდხანს იყო მეცხოველეობა. პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ახლა მდგომარეობა შეიცვალა. თუ 1953 წლის ოქტომბერში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა მხოლოდ 4,6 მილიონი სულით აღემატებოდა რევოლუციამდელი რუსეთის დონეს, შემდგომ სამ წელიწადში იგი გადიდდა 7,4 მილიონი სულით და 1956 წლის ოქტომბერში რევოლუციამდელ დონეს 12 მილიონი სულით გადააჭარბა. სულადობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. 1913 წელთან შედარებით ხორცის სასაქონლო პროდუქცია გადიდდა 2-ჯერ, რძისა — 3-ჯერ, მატყლისა — 3-ჯერ, აქედან ნაზი და ნახევრადნაზი მატყლისა — თითქმის 5-ჯერ.

მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გულდასმით აწონ-დაწონეს რა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი და პერსპექტივები, ვალდებულება იკისრეს მნიშვნელოვნად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სოფლის მეურნეობის მშრომელებს მოუწოდეს გააჩაღონ ბრძოლა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ მოწოდებამ, რომელსაც მხარი დაუჭირა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის მშრომელთა აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია, იგი ერთსულოვნად მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა.

როცა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მოძრაობა ამ ამოცანის განხორციელებისათვის, ბურჟუაზიული პრესა ცოტას როდი წერდა ამ ამოცანის არარეალობაზე, იმაზე, რომ ჩვენ თითქოს ვისახავთ მხოლოდ პროპაგანდისტულ მიზნებს და სხვ. მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრება, პრაქტიკა ამხილებს ამ ცილისმწამებლურ მონაჭორს. მიმდინარე წლის შედეგები მეცხოველეობის განვითარებაში კიდევ უფრო განამტკიცებენ იმის რწმენას, რომ ეს ამოცანა გადაჭრილ იქნება. შეხედეთ, რა აღმავლობით იბრძვიან მეცხოველეობის განვითარებისათვის რუსეთის სფსრ, უკრაინის, მოლდავეთისა და სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების მოწინავე კოლმეურნეობები და რაიონები. მაგალითად, მოლდავეთის სსრ ჩადირ-ლუნგის კოლმეურნეობებმა მთელ 1956 წელს 100 ჰექტარ მიწაზე აწარმოეს 34 ცენტნერი ხორცი, ხოლო მიმდინარე წლის 10 თვეში — 66,6 ცენტნერი. მთლიანად მოლდავეთის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 1957 წლის 1 ნოემბრისათვის თითქმის ორნახევარჯერ მეტი ხორცი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში, ამასთან უზრუნველყვეს პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდა. ვინიცის ოლქის კრიჟოპოლის რაიონის კოლმეურნეობებმა მთელ გასულ წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოეს 38 ცენტნერი ხორცი, ხოლო მიმდინარე წლის 10 თვეში — 101 ცენტნერი, ანუ ორნახევარჯერ მეტი. ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ხორცის წარმოება 100 ჰექტარზე გასული წლის 49 ცენტნერიდან 1957 წლის ათ თვეში 110 ცენტნერამდე გაადიდა.

აი რას შეიძლება მივაღწიოთ ერთ წელიწადში, თუ გონივრულად გამოვიყენებთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის რეზერვებსა და უპირატესობებს. ასეთი მაგალითი, რომელიც მოწმობს უახლოეს წლებში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდების ამოცანის წარმატებით განხორციელებას, ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხის წარმატებებმა კვამლივით გაფანტა ჩვენი მტრების ლეგენდები, რომ ბოლშევიკურ რევოლუციას თითქოს მოაქვს ნგრევა, ცივილიზაციის თითქმის დაღუპვა. ჩვენი სახელმწიფოს 40 წლის გამოცდილებამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ხალხი, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება, ყველაზე გულმოდგინე მეურნეა, სულ ახალ და ახალ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა დაულალავი შემოქმედია. ამ გამოცდილებამ ცხადყო, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს იწყება სწრაფი, ნამდვილად მასობრივი, მთელი მოსახლეობის მონაწილეობით, წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში, განუხრელი პროგრესი მატერიალური წარმოების განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აყვავება.

სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი შესანიშნავი მიღწევაა ქალის განთავისუფლება, მისი ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში. საბჭოთა ქალებს თავიანთი შემოქმედებითი შრომით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე უდიდესი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

სოციალიზმმა, უსაზღვრო გასაქანი მისცა რა საწარმოო ძალების განვითარებას, განახორციელა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ამ მხრივ ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის ზრდა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით იგი სსრ კავშირში 1913 წელთან შედარებით 13-ჯერ გადიდდა. ამავე ხნის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაციონალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადიდდა ნაკლებად, ვიდრე ორჯერ, ინგლისსა და საფრანგეთში — მხოლოდ ცოტა მეტად, ვიდრე 1,6-ჯერ.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ საბოლოოდ აღმოფხვრა მშრომელთა ისეთი უბედურება, როგორიც არის უმუშევრობა. ჩვენს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა 1913 წლის 12 მილიონ 900 ათასიდან გადიდდა 52 მილიონ 600 ათასამდე 1957 წელს, ე. ი. უფრო მეტად, ვიდრე 4-ჯერ. სოციალისტურმა რევოლუციამ არა მარტო გამოაცხადა, არამედ საქმითაც უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის შრომის, განათლებისა და დასვენების უფლებები. სოციალისტური საზოგადოების, ყველაზე ჰუმანური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია საყოველთაო-სახალხო ზრუნვა მოზარდი თაობისათვის და უფროსი თაობის ადამიანებისათვის, რომლებსაც პატიოსნად უშრომიათ ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად განხორციელდა ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის: დაბალხელფასიანი კატეგორიების მუშამოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატება, უქმეებისა და დასვენების წინადღეებში სამუშაო დროის შემცირება. ხორციელდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება შვიდი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის მიწისქვეშა სამუშაოებზე ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა საბინაო მშენებლობის მასშტაბი.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად უდიდეს თანხებს გამოჰყოფს სოციალური დაზღვევის ხაზით, დახმარებაზე, პენსიებზე, მოსწავლეთა სტიპენდიებზე, უფასო სწავლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა. შ. მარტო წელს ამ მიზნებისათვის ასიგნებული საერთო თანხა აღემატება 192 მილიარდ მანეთს, რაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი გასავლის დაახლოებით ერთ მესამედს უდრის. მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ ახალ კანონს სახელმწიფო პენსიების შესახებ.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება გამოხატულებას პოულობს სახალხო მოხმარების გადიდებითა და საბჭოთა ვაჭრობის განვითარებით. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სულ უფრო და უფრო მეტი სხვადასხვა საქონელი, ისინი ახლა მნიშვნელოვნად უკეთ იკვებებიან, უკეთ იცვამენ და უკეთ ცხოვრობენ.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება).

1957 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით გაიყიდა ხორცი და ხორცის პროდუქტები 3,3-ჯერ, ერბო-კარაქი, რძე და რძის სხვა პროდუქტები — სამნახევარჯერ, შაქარი — 3,3-ჯერ, ქსოვილები — 2,8-ჯერ მეტი ვიდრე 1940 წელს, ამასთან შალის ქსოვილების გაყიდვა გადიდდა თითქმის ოთხჯერ, ხოლო აბრეშუმის ქსოვილებისა — ცხრაჯერ. 1956 წელს მოსახლეობამ იყიდა 21 მილიონზე მეტი საათი, 3 მილიონზე მეტი ველოსიპედი, 4,2 მილიონი რადიომიმღები და ტელევიზორი, ხოლო მიმდინარე წელს ეს საქონელი კიდევ უფრო მეტი იყიდება.

უკანასკნელ წლებში მრეწველობა უშვებს მეტ საკერავ მანქანებს, მაცივრებს, სარეცხ მანქანებს, მტვერსასრუტებს.

სოციალიზმის დიდი მონაპოვარია კულტურული რევოლუციის განხორციელება სსრ კავშირში, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მხრივ. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ლიკვიდირებული იყო. ამჟამად სსრ კავშირში ყველა სახეობის სწავლაში ჩაბმულია 50 მილიონზე მეტი კაცი. მარტო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ამჟამად ოთხ მილიონზე მეტი კაცი სწავლობს, 1914 წელს კი სწავლობდა 182 ათასი კაცი. სახალხო მეურნეობაში ახლა მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 6 მილიონზე მეტი სპეციალისტი — თითქმის 33-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში. ინჟინრებისა და ტექნიკოსების, აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების, მასწავლებლების, ექიმებისა და სხვა სპეციალისტების უდიდესი არმია აქტიურად მონაწილეობს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები ერთ-ერთი რაზმია ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე რაზმებიდან, რომლებიც აქტიურად იბრძვიან კომუნიზმის დიადი იდეალების გამარჯვებისათვის, ახალი ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლების აღზრდისათვის.

ვაჯამებთ რა ოქტომბრის მე-40 წლისთავის შედეგებს, ჩვენ განსაკუთრებული მადლობით უნდა აღვნიშნოთ ნაყოფიერი შრომა საბჭოთა მეცნიერებისა, რომლებიც ჩვენს სამშობლოს და მთელ კაცობრიობას ამდიდრებენ დიადი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებითა და გამოგონებებით. შეუძლებელია აქ ჩამოვთვალოთ საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევები. მოვაგონებთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენს ქვეყანას ყველაზე მოწინავე ადგილი უჭირავს მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის მძლავრი ძალის გამოყენების მხრივ, რომ ჩვენ ამას წინათ წარმატებით განვახორციელეთ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გამოცდა.

მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების მწვერვალია მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შექმნა და წარმატებით გაშვება 1957 წლის 4 ოქტომბერს. ერთი თვეც არ გასულა, რომ სამყაროში გაშვებულ იქნა მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც აღჭურვილია უფრო სრულყოფილი და მრავალნაირი სამეცნიერო აპარატურით და რომელშიც არის საცდელი ცხოველი. ახლა როდილა მოსწყინდება სამყაროში სეირნობა ჩვენს პირველ თანამგზავრს. საბჭოთა კავშირის ორი წარგზავნილი—მშვიდობის ორი ვარსკვლავი გარშემო უვლის დედამიწას. ჩვენმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის საბჭოთა ადამიანები მართლაც დიდი საჩუქრით გაახარეს, განახორციელეს რა კაცობრიობის გაბედული ოცნება. სოციალიზმის ქვეყნის ამ მიღწევებმა, რომლებიც ახალ ეპოქას მოასწავებენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, პირდაპირ მთელი მსოფლიო შეძრეს.

დედამიწის ყველა ნაწილში მილიონობით მცხოვრები გულწრფელად გახარებულია და აღტაცებით მიესალმება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ჩვენი მრეწველობის მუშების უდიდეს საგმირო საქმეს. ამავე დროს სოციალიზმის მტრებში საბჭოთა კავშირის ამ გამარჯვებამ შიში და დაბნეულობა გამოიწვია: ისინი დარწმუნდნენ, თუ რა მაღალ დონეზე აიყვანა სსრ კავშირმა თავისი მეცნიერება და ტექნიკა, თავისი მრეწველობა, შეძლო რა წარმატებით გადაეჭრა ესოდენ რთული მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები.

თავის დროზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს, რომ ისინი ემზადებიან გაუშვან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და მას „ავანგარდი" უწოდეს. არა სხვა რამე, არამედ სწორედ „ავანგარდი!" ჩვენ აგრეთვე ვიუწყებოდით, რომ ვაპირებთ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას. ახლა ყველა ხედავს, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შემოქმედებითი ღონისძიებანი წარმატებით დაგვირგვინდა. პატარა „საბჭოთა მთვარის" გამოჩენის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთმა სახელმწიფო მოღვაწემ განაცხადა, რომ ისინი არც კი ფიქრობდნენ შეჯიბრებოდნენ საბჭოთა კავშირს ხელოვნური თანამგზავრის შექმნაში. ასე ლაპარაკობენ ისინი ახლა, როცა ჩვენი თანამგზავრები გარს უვლიან დედამიწას! როგორც ჩანს, სახელწოდება „ავანგარდი" ასახავდა ამერიკელთა რწმენას, რომ მათი თანამგზავრი პირველი იქნებოდა მსოფლიოში. მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ წინ, ავანგარდში, საბჭოთა თანამგზავრები აღმოჩნდნენ. ჩვენი თანამგზავრები გარს უვლიან დედამიწას და მოელიან, როდის გამოჩნდებიან მათ გვერდით ამერიკული და სხვა თანამგზავრები და შეადგენენ თანამგზავრთა თანამეგობრობას. ასეთი თანამეგობრობა, ასეთი შეჯიბრება გაცილებით უკეთესია, ვიდრე შეჯიბრება გამალებულ შეიარაღებაში, მომაკვდინებელი იარაღის წარმოებაში.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებმა, ჩვენი მრეწველობის მუშებმა, რომლებმაც თავიანთი გენია და შემოქმედებითი შრომა ჩააქსოვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების შექმნას, დაიმსახურეს მთელი ხალხის პატივისცემა და ყველას გულითადი მადლობა, ვისთვისაც ძვირფასია მეცნიერების პროგრესისა და აყვავების საქმე. პარტიისა და მთავრობის დავალებით ნება მიბოძეთ ამ მაღალი ტრიბუნიდან მხურვალედ მივულოცო მათ შესანიშნავი გამარჯვება და გადავცე უდიდესი მადლობა!

ამხანაგებო! სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მთავარი შედეგია.

სოციალისტური საზოგადოება კაცობრიობის ისტორიაში ახალი, უმაგალითო საზოგადოებაა. საბჭოთა საზოგადოება როდია გათიშული ერთმანეთისადმი მტრულ კლასებად. იგი შემჭიდროებულია ინტერესთა ერთიანობით, მიზნის ერთობით, მჭიდროდ დარაზმულია თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო. ჩვენი პარტია იზრდებოდა, მტკიცდებოდა, ვაჟკაცდებოდა ბრძოლაში ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც უცხო და მტრულია მარქსიზმისათვის, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის. მთელი მისი ისტორია გვიჩვენებს, რომ პარტია ვერ შეასრულებდა სოციალისტური რევოლუციის ბელადის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ორგანიზატორისა და შთამაგონებლის როლს, მას რომ არ ეწარმოებინა ულმობელი ბრძოლა მენშევიკების, ესერების, ანარქისტების, ტროცკისტების, მემარჯვენე უკლონისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ და მარქსიზმ-ლენინიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ, იდეურად და პოლიტიკურად რომ არ დაემარცხებინა ეს მტრები.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდან კომუნისტური პარტია თავისი დამაარსებლისა და ბელადის დიდი ლენინის მეთაურობით საბჭოთა ხალხის მთელ ღონისძიებებს წარმართავდა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, სოციალისტური მშენებლობის გეგმების განსახორციელებლად, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტია მჭიდროდ დაირაზმა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ლენინის წინასწარდასახულობებს, მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა წარმატებიდან წარმატებამდე. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ააშენა სოციალისტური საზოგადოება, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ამ გამარჯვებებმა ჩვენი სამშობლო გადააქციეს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, კიდევ უფრო გაზარდეს მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

კომუნიზმის გზით საბჭოთა ქვეყნის განვითარებაში, პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალე მოწონებით შეხვდნენ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური მშენებლობის გეგმებს, რომლებიც ყრილობამ შეიმუშავა, და დიდი შემოქმედებითი აღმავლობით შრომობენ მათი განხორციელებისათვის. ამ ბოლო დროს შესამჩნევად გააქტიურდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა, გაიზარდა მათი როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. საბჭოთა პროფკავშირები ავითარებენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, კიდევ უფრო ფართოდ აბამენ მშრომელებს წარმოების მართვაში. დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ლენინური კომკავშირი, რომელიც მუდამ მხურვალედ ეხმაურება ჩვენი პარტიის მოწოდებებს, იჩენს საკუთარ ინიციატივასა და თაოსნობას კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე. ყრილობის შემდეგ განვლილი დრო აღინიშნა ახალი დიდი წარმატებებით ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

ანალიზი გაუკეთა რა განვლილ გზას და დასახა რა მომავლის გეგმები, პარტიის XX ყრილობამ დიდი მარქსისტულ-ლენინური პრინციპულობა და შეურიგებლობა გამოიჩინა არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომებისადმი, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გვიჩვენა იმ ამოცანების გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითი, რომლებსაც ცხოვრება აყენებს კომუნისტური მშენებლობის მოცემულ ეტაპზე. პარტიამ პრინციპულად გააკრიტიკა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებული შეცდომები და დასახა პიროვნების კულტის შედეგების დაძლევის ღონისძიებანი. პიროვნების კულტის კრიტიკაში პარტიის ყრილობა ემყარებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს, ვ. ი. ლენინის კრიტიკულ შენიშვნებს ი. ბ. სტალინის ხასიათის ნაკლოვანებებისა და უარყოფითი თვისებების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით გაღრმავდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში და სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს საერთო საქმეს. ამ კრიტიკამ და პარტიის დიდმა მუშაობამ პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობის გაუმჯობესებას, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების თანმიმდევრულად განხორციელებას, რევოლუციური კანონიერების სასტიკად დაცვას, შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობას, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ზრდას.

ჩვენმა პარტიამ XX ყრილობაზე საკუთარი ინიციატივით გაშალა სტალინის შეცდომების კრიტიკა. გაშალა, ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ გამოესწორებინა ისინი, მეორე, რომ ასეთი შეცდომები არასოდეს არსად აღარ გამეორებულიყო, მესამე, რომ არ დაეშვა დოგმატური, მედავითნური მიდგომა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი და უზრუნველეყო შემოქმედებითი მიდგომა მეცნიერული სოციალიზმის ჩვენი დიდი თეორიისადმი, ამასთან ზუსტად დაეცვა ამ თეორიის სიწმინდე.

ჩვენ, კომუნისტები, ვაკრიტიკებთ პიროვნების კულტს, როგორც უცხოს მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, როგორც შეუწყნარებელ მოვლენას კომუნისტურ პარტიაში, სოციალისტურ საზოგადოებაში. პარტია ამას იმისათვის აკეთებს, რომ განამტკიცოს თავისი პოზიციები, განამტკიცოს სოციალისტური წყობილება, რომ კვლავ არასოდეს აღარ იქნას დაშვებული ამგვარი მოვლენები. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმათ, ვინც ცდილობს პიროვნების კულტის კრიტიკა გამოიყენოს სოციალისტურ წყობილებაზე, კომუნისტურ პარტიაზე თავდასხმებისათვის. აკრიტიკებდა რა სტალინის მოღვაწეობის არასწორ მხარეებს, პარტია იბრძოდა და კვლავაც იბრძოლებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცილს დასწამებს სტალინს, ვინც პიროვნების კულტის კრიტიკის საბაბით მცდარად, დამახინჯებულად ხატავს ჩვენი პარტიის საქმიანობის მთელ ისტორიულ პერიოდს, როცა ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. როგორც ერთგული მარქსისტ-ლენინელი და მტკიცე რევოლუციონერი, სტალინი ჯეროვან ადგილს დაიკავებს ისტორიაში. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს ეხსომებათ სტალინი და ჯეროვან პატივს სცემენ მას.

ზოგიერთი „კრიტიკოსი" ყოველნაირად ცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენი პარტიის ბრძოლის ამ პერიოდს, სახელი გაუტეხოს იმ მთავარ გზას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაკაფა თავის ბრძოლაში სოციალიზმისათვის. ისინი ლენინიზმის ერთგულ მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი ძალების დაუზოგავად იბრძოდნენ და იბრძვიან ხალხის ინტერესებისათვის, სოციალიზმის საქმისათვის, სტალინისტებს უწოდებენ და ამ სიტყვას უარყოფითს აზრს აძლევენ. ამით მათ სურთ დაამცირონ, სახელი გაუტეხონ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწეებს, რომლებიც ერთგული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის საქმისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა. ამგვარი „კრიტიკოსები" ან პირწავარდნილი ცილისმწამებლები არიან, ან ისეთი ადამიანები, რომლებიც რევიზიონიზმის დამპალ პოზიციებზე ეშვებიან, ცდილობენ რა „სტალინიზმზე" ყვირილით დაფარონ თავიანთი ჩამოშორება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისაგან. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ იმპერიალისტურმა პროპაგანდამ თავის იარაღად აიღო პროვოკაციული ლოზუნგი ბრძოლისა „სტალინიზმის" და „სტალინისტების" წინააღმდეგ.

პარტია იბრძოდა და კვლავაც გადაჭრით იბრძოლებს მარქსიზმ-ლენინიზმიდან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ, ყოველგვარი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ დაამახინჯონ მისი არსი, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს შეასუსტოს ჩვენი ნებისყოფა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში, დაარღვიოს ჩვენი დარაზმულობა, ძირი გამოუთხაროს ერთიანობას.

მხოლოდ ძლიერ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, რომელსაც ხალხისადმი რწმენა აქვს, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ხალხთან და სარგებლობს მისი უსაზღვრო ნდობითა და მხარდაჭერით, შეეძლო გადაედგა ისეთი გაბედული ნაბიჯი, როგორიც არის პიროვნების კულტთან დაკავშირებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების პირდაპირი და აშკარა კრიტიკა. კაპიტალისტური ქვეყნების რომელ მმართველ პარტიას შეეძლო გაეკეთებინა რაიმე ამის მსგავსი? ასეთი პარტიები არ არიან! პირიქით, ისინი ყველანი ცდილობენ დაუმალონ ხალხს თავიანთი საქმიანობის უარყოფითი მხარეები და შეცდომები, შეალამაზონ კაპიტალიზმის უკურნებელი მანკიერებანი და წყლულები, მოატყუონ მშრომელები სხვადასხვაგვარი ყალბი თეორიებით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „კლასობრივი მშვიდობის" და „ჰარმონიის" შესახებ.

მუშათა კლასს, როგორც აღმავალ, რევოლუციურ კლასს, არ სჭირდება ახალი ცხოვრების მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების დამალვა და მიჩქმალვა. „პროლეტარიატს, — ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არ ეშინია აღიაროს, რომ რევოლუციაში მას ესა და ეს ჩინებულად გამოუვიდა, ხოლო ესა და ეს არ გამოუვიდა. ყველა რევოლუციური პარტია, რომელნიც დღემდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ ყოყოჩობდნენ და იმის უნარი კი არ შესწევდათ, რომ დაენახათ, რაშია მათი ძალა, თავიანთ სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა ეშინოდათ. ჩვენ კი არ დავიღუპებით, იმიტომ რომ არ გვეშინია ვილაპარაკოთ ჩვენს სუსტ მხარეებზე, და ვისწავლით სუსტი მხარეების დაძლევას" (თხზ., ტ. 33, გვ. 364).

განუხრელად იცავს რა პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს, ჩვენი პარტია განუწყვეტლივ აუმჯობესებს მუშაობის ფორმებს და მეთოდებს, სრულყოფს მუშაობის სტილს, თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა რგოლში, თავიდან ბოლომდე, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპს.

მარქსისტული დიალექტიკა გვასწავლის, რომ ყოველგვარი განვითარება ხდება წინააღმდეგობათა გამოვლინებითა და დაძლევით. კაპიტალისტური წყობილების პირობებში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან ანტაგონისტური კლასები, ამ წინააღმდეგობებს შეურიგებელი ხასიათი აქვთ და მათი გადაჭრა მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში შეიძლება. სოციალიზმის მშენებლობის პირველ ეტაპებზე, სანამ ჯერ კიდევ არსებობენ ექსპლოატატორული კლასების (კაპიტალისტების, მემამულეების, კულაკების) ნაშთები, სანამ ისინი სარგებლობენ ერთგვარი გავლენით სახელმწიფოში და გარეშე კონტრრევოლუციური ძალების მხარდაჭერით, შესაძლებელია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, და წინააღმდეგობებმა შეიძლება ანტაგონისტური ხასიათი მიიღონ.

პრინციპულად სხვანაირია წინააღმდეგობანი, რომლებიც ახასიათებს დიდი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით შემჭიდროებულ სოციალისტურ საზოგადოებას, როცა აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები, როცა რჩებიან მშრომელთა მეგობრული კლასები — მუშები და გლეხები. ეს ძირითადად ზრდის წინააღმდეგობები და სიძნელეებია, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკის სწრაფ აღმავლობასთან, ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდასთან, წინააღმდეგობანი ახალსა და ძველს შორის, მოწინავესა და ჩამორჩენილს შორის. ეს არის წინააღმდეგობანი სოციალისტური საზოგადოების წევრთა მზარდ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილებისათვის ჯერ კიდევ არასაკმაო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შორის. ასეთ წინააღმდეგობათა დაძლევა წარმატებით ხდება, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ორმოცი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, თვით სოციალისტური საზოგადოების მიერ სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწრაფი და განუწყვეტელი განვითარების გზით, მშრომელთა სოციალისტური შეგნების ამაღლების გზით.

საბჭოთა საზოგადოების განვითარება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. განვითარების გარკვეულ ეტაპებზე საჭირო ხდება სოციალისტური მშენებლობის ამა თუ იმ უბნისადმი ხელმძღვანელობის ფორმების გაუმჯობესება და სრულყოფა. მთელი თავისი საქმიანობით ჩვენმა პარტიამ გვიჩვენა, რომ იგი გადაჭრით ებრძვის უძრაობასა და ჩამორჩენილობას, უარს ამბობს მოძველებულ ფორმებზე, ქმნის ახალ ფორმებს, რომლებიც შეესაბამებიან წინსვლის მოთხოვნებს.

პარტიის მთელი პრაქტიკული საქმიანობა მარად ცოცხალი, მუდამ წინმსწრაფი, თავისი სულისკვეთებით რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმის კონკრეტული გამოხატულებაა. საქმისადმი ასეთი მიდგომის მაგალითებს წარმოადგენენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის მიერ ამ უკანასკნელ წლებში მიღებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად რომ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, აქ ეს დამაჯერებლად ცხადყო იმ ერთსულოვანმა მხურვალე მოწონებამ, რომლითაც ხალხი შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, რომლებმაც გაილაშქრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კურსის წინააღმდეგ, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი პარტიის ლენინური ერთიანობისათვის. მოიშორეს რა გზიდან ეს ანტიპარტიული ჯგუფი, პარტიამ და ხალხმა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავიანთი რიგები და მტკიცე რწმენით მიდიან წინ ერთადერთი სწორი, ლენინური გზით თავიანთი დიადი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ორმოცი წლის გამოცდილება გვასწავლის, რომ თუ არა სალ კლდესავით ერთიანი და მონოლითური პარტია, თუ არა საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით შეიარაღებული პარტია, თუ არა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი პრინციპების ერთგული პარტია, — მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მთელი ჩვენი ხალხი ვერ მოიპოვებდნენ ძალაუფლებას, ვერ გაანადგურებდნენ თავიანთ მტრებს, ვერ ააშენებდნენ სოციალისტურ საზოგადოებას და წარმატებით ვერ განახორციელებდნენ კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას. მაშ კვლავაც თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი სახელოვანი პარტიის ლენინურ ერთიანობას, განვამტკიცოთ მისი კავშირი ხალხთან, კვლავაც მაღლა გვეჭიროს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და უძლეველი დროშა!

საბჭოთა ქვეყნის მომავალ წარმატებათა საწინდარია სსრ კავშირის ყველა ხალხის მჭიდრო დარაზმულობა თავისი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა მათს ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

## II.

## სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივებისა და ამოცანების შესახებ

ამხანაგებო! აჯამებს რა საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე განვითარების შედეგებს, ჩვენი ხალხი მტკიცე რწმენით უცქერს მომავალს, ნათლად ხედავს კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივებს. კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებებით იმის შესახებ, რომ პოლიტიკაში მუდამ უნდა იყურებოდე არა უკან, არამედ წინ.

საბჭოთა ქვეყანა ამჟამად თავისი ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე იმყოფება. ჩვენში შექმნილია ხელსაყრელი პირობები, ყველა მატერიალური და მორალური წანამძღვარი კომუნიზმის მშენებლობაში უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისათვის. საბჭოთა ხალხს ისინი მიაჩნია ბაზად, საფუძვლად კიდევ უფრო სწრაფი წინსვლისათვის, კიდევ უფრო დიდი გამარჯვებებისათვის მომავალში. სოციალიზმის ყოველი წარმატება ახალი ნაბიჯია კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზისაკენ მიმავალ გზაზე.

ახასიათებდნენ რა მომავლის საზოგადოებას, საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური ბელადები და მასწავლებლები მარქსი და ენგელსი ამბობდნენ, რომ მას თავის განვითარებაში ექნება ორი ფაზა — პირველი — სოციალიზმი და მეორე, უმაღლესი — კომუნიზმი. თუ სოციალიზმი, როგორც პირველი ფაზა საზოგადოებისა, რომელიც კაპიტალიზმის წიაღიდან გამოდის, იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმ პირობებს, რომლებსაც იგი მემკვიდრეობით იღებს წარსულისაგან და კიდევ ატარებს „კაპიტალიზმის თანდაყოლილ ნიშნებს", კომუნიზმი ვითარდება თავის საკუთარ საფუძველზე, რომელიც შექმნილია სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლა, გვასწავლის მარქსი, საზოგადოებას შეუძლია მოახდინოს მხოლოდ მაშინ, როცა „შრომა არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ — თვით პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება; როდესაც ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება და საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოდინდება..." (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტომი II, გვ. 18).

შემოქმედებითად ავითარებდა რა მარქსიზმს, ლენინმა კონკრეტულად ჩამოაყალიბა მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ. მან შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გეგმები, რომლებშიც განსაკუთრებული ძალით უსვამდა ხაზს, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის, კომუნიზმის გზით მისი განვითარების გენერალური ხაზის საფუძველთა საფუძველი უნდა იყოს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, სოფლის მეურნეობის კოოპერირება, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობა ახალი ტექნიკის გამოყენებისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარების საფუძველზე, კულტურული რევოლუციის განხორციელება.

ჯერ კიდევ იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ნგრევასა და შიმშილს, როცა საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის მდგომარეობა ბევრს თითქმის უიმედოდ მიაჩნდა, ამ განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩვენმა პარტიამ წამოაყენა რუსეთის ელექტროფიკაციის გაბედული და გრანდიოზული გეგმა, რომელმაც დასახა ნათელი პერსპექტივა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა ათეულწლების მანძილზე. მაშინ ლენინი ამბობდა, რომ კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია. ეს ლენინური განსაზღვრა გამოხატავს კომუნიზმის მშენებლობისადმი მარქსისტული მიდგომის არსს, განუყოფელ ერთიანობაში აღებულია საკითხები კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-საწარმოო ბაზისა და სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური ფორმის შესახებ, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა.

კომუნიზმის მარქსისტულ-ლენინური გაგება განუყრელად დაკავშირებულია ხალხის მასების ცოცხალ პრაქტიკულ საქმიანობასთან საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის. ნამდვილი, მეცნიერული და ცოცხალი, და არა წიგნურ-დოგმატიკური კომუნიზმის ფორმულები სწორედ იმით განსხვავდებიან მყვირალა ფრაზიორობისაგან, რომ ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური წარმოების უფრო სრულყოფილ ორგანიზაციას, მუშათა და გლეხთა შრომის პირობებს, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო პროდუქტების გამოშვების გადიდებას, ადამიანთა ურთიერთობას შრომის პროცესსა და ყოფაცხოვრებაში.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირმა თავისი განვითარების ორმოცი წლის მანძილზე შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის აღმავლობაში და ააშენა სოციალიზმი, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ კომუნიზმი უკვე აღარ არის შორეული მომავალი, მისი დიდებული ნათელი შენობა სულ უფრო მკაფიოდ ისახება ხალხების თვალწინ, იგი იზრდება და სულ უფრო სრულყოფილ ფორმებს მიიღებს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის შრომის ყოველ წარმატებასთან ერთად.

პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ეკონომიური და კულტურული მშენებლობის პროგრამა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში. ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდება. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, როგორც ცნობილია, ამას წინათ მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმის შემუშავების შესახებ. ამ გეგმის შესრულება, ეჭვი არ არის, მიგვაახლოებს იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრასთან, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

რას ეყრდნობა საბჭოთა ადამიანების ღრმა რწმენა, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის გეგმები წარმატებით იქნება შესრულებული?

ეს რწმენა ეყრდნობა, ჯერ-ერთი, იმას, რომ საბჭოთა ქვეყანას ახლა აქვს მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, რომელიც მკვეთრი აღმავლობის გზაზეა.

მეორე, ჩვენ ახლა გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმატებით გადაჭრან სახალხო მეურნეობის განვითარების ყველაზე რთული ამოცანები ტექნიკური პროგრესის, საზოგა-

(გაგრძელება მე-5 გვერდზე).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება).

დოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის, მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საფუძველზე.

მესამე, შესანიშნავი მიღწევები საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მათი უფრო ფართოდ დანერგვა წარმოებაში საშუალებას გვაძლევს ძალებისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით მივაღწიოთ რაც შეიძლება მნიშვნელოვან შედეგებს საწარმოო ძალების განვითარებაში.

მეოთხე, ჩვენს ქვეყანას მოეპოვება დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრენი, რომლებიც ეკონომიკის შეუზღუდავი განვითარების შესაძლებლობას ქმნიან. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგის სწრაფი ზრდისათვის, საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

მეხუთე, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობა, მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების გეგმების კოორდინაცია ხელს უწყობს სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის უსწრაფეს წინსვლას.

ასეთია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს, თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის ღრმა პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულთ, უნერგავს ურყევ რწმენას, რომ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმები წარმატებით იქნება შესრულებული, როგორც სრულდებოდა დღემდე კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული ყველა გეგმა.

სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების პრაქტიკულ განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი რგოლია ჩვენში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა უფრო ეფექტიანი გამოყენება.

რევოლუციამდელ რუსეთში მიწის წიაღს თითქმის არ სწავლობდნენ, რკინის მადნისა და ქვანახშირის გამოკვლეული მარაგი მხოლოდ ოდნავ აღემატებოდა მსოფლიო მარაგის სამ პროცენტს. კაპიტალისტები და მემამულეები ისე წარმართავდნენ რუსეთის მეურნეობას, რომ დიდ ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობისას სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ არა მარტო ქვანახშირი, ფოსფოროვანი სასუქები და კალიუმის მარილები, არამედ საშენი ქვა და ძელაკებიც კი ქუჩების ქვაფენილისათვის.

საბჭოთა წყობილების დროს აღმოჩენილ და გამოკვლეულ იქნა სხვადასხვა მთამადნეულის ბევრი ახალი საბადო და მნიშვნელოვნად გადიდდა წინათ ცნობილ საბადოთა გამოკვლეული მარაგი. უმნიშვნელოვანეს სახეობათა მინერალური ნედლეულის, მათ შორის რკინისა და მარგანეცის მადნის, ქვანახშირის, სპილენძის, ბოქსიტების, ნიკელის, ვოლფრამის, ტყვიის, ვერცხლისწყლის, ქარსის, თუთიის, კალიუმის მარილების გამოკვლეული მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო ნავთობის გამოკვლეული მარაგის მხრივ — ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიოში. ჩვენ მოგვეპოვება უზარმაზარი ჰიდრორესურსები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვაშენოთ გიგანტური ჰიდროელექტროსადგურები სხვადასხვა რაიონში, კოლოსალურია ჩვენი ტყის სიმდიდრე.

როცა ვლაპარაკობთ ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეებზე, უნდა აღინიშნოს ის შესანიშნავი თავისებურება, რომ ეს ბუნებრივი სიმდიდრე აღმოჩენილია, შესწავლილია და მისი გამოკვლევა გრძელდება საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა რაიონში. თუ ამას შევხედავთ ჩვენი ქვეყნის მომავლის თვალსაზრისით, პერსპექტივაში მკაფიოდ ისახება მისი დიდებული ახალი სახე, როცა საწარმოო ძალები ყველაზე რაციონალურად განლაგდება და ყველა რაიონის ეკონომიკა სწრაფად გაიზრდება. ეს იქნება კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების ჰარმონიული განვითარების დიდმნიშვნელოვანი პირობა.

გონების თვალი გადავავლოთ საბჭოთა კავშირის რუკას!

მაგალითისათვის ავიღოთ რუსეთის ფედერაცია. შეხედეთ შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებს! მეფის რუსეთში ეს იყო მიყრუებული, აუთვისებელი და დაუსახლებელი, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი რაიონები, რომლებსაც ხშირად ველურ „დათვის კუთხეებს" უწოდებდნენ. ახლა ამ რაიონებში წარმოებს დიდი შემოქმედებითი მუშაობა, შექმნილია დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრები. აქ იქმნება ახალი სამეცნიერო ცენტრი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება. უკანასკნელ დროს აქ აღმოჩენილია ბევრი სასარგებლო წიაღისეული, მათ შორის კალის, მოლიბდენის, რკინის მადნების, ქვანახშირის, მაგნეზიტის დიდი საბადოები. იაკუტიის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმოჩენილია კოქსვადი ქვანახშირების მრავალმილიარდიანი მარაგი, გამოკვლეულია ალმასის უმდიდრესი ძირეული და ქვიშრობი საბადოები, რკინის მადნების დიდი მარაგი, ოქროს, კალისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა საბადოები.

ჩვენი ქვეყნის დიდ ეკონომიურ რაიონებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ურალს, რომელსაც მომავალშიც აქვს ყველა მონაცემი მძიმე მრეწველობის მთელი რიგი გადამწყვეტი დარგების შემდგომი განვითარებისათვის. ვოლგასა და ურალს შუა დიდ სივრცეებზე აღმოჩენილია და გამოკვლეულია ნავთობის უდიდესი მარაგი და წარმოებს მისი ფართოდ გამოყენება. ბაშკირეთისა და თათრეთის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაადიდეს ნავთობის ამოღება. ახლა თვითეული ეს რესპუბლიკა ნავთობს იღებს ერთიორად და უფრო მეტს, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი იღებდა. ვოლგაზე გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ქმნის მძლავრ ენერგეტიკულ ბაზას სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ცენტრის რაიონებში, რომლებსაც მრავალდარგოვანი მრეწველობა აქვთ, მომავალში ისახება განვითარების ფართო პერსპექტივები კურსკის მაგნიტური ანომალიის რკინის მადნების გიგანტური მარაგის ათვისებასთან დაკავშირებით. ეს არის რკინის მადნის საბჭოთა კავშირში უდიდესი აუზი, რომელსაც შეუძლია მაღალხარისხოვანი რკინის მადნით უზრუნველყოს მძლავრი მეტალურგიული მრეწველობა ასეულ წლობით, უეჭველია, დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს სსრ კავშირის ინდუსტრიული ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

უკრაინის რესპუბლიკას, რომელიც დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, აქვს მძლავრი ქვანახშირის, მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებელი მრეწველობა და მზარდი ენერგეტიკული ბაზა. მას უდიდესი ბუნებრივი რესურსები მოეპოვება ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. სამხრეთ უკრაინის რაიონებში, რომლებსაც ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ რკინისა და მარგანეცის მადნების გამოკვლეული მარაგის რაოდენობისა და ამოღების მხრივ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ მადნების აუზების საზღვრები, აგრეთვე ნაპოვნია სხვადასხვა ძვირფასი სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოები. აღმოჩენილი და გამოკვლეულია დნეპრისა და ლვოვ-ვოლინის ქვანახშირის ახალი აუზები, რომლებიც დონბასთან ერთად წლითიწლობით გაადიდებენ ქვანახშირის ამოღებას. უახლოეს წლებში ფართოდ განვითარდება გაზის მრეწველობა ბუნებრივი გაზის დიდი საბადოების ბაზაზე.

დიდი პერსპექტივები ისახება მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის ყაზახეთისა და შუა აზიის რაიონებში, რომელთა სახე შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით. აქ შეიქმნა თანამედროვე მრეწველობის ახალი დარგები, მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე. ყაზახეთში აღმოჩენილია რკინის მადნების, ქვანახშირის, ქრომიტის მადნების, მაღალხარისხოვანი ბოქსიტების, ყოველგვარი ფერადი და იშვიათი ლითონების და ბევრი სხვა სახეობის მინერალური ნედლეულის უდიდესი მარაგი. ამჟამად აქ თავმოყრილია სსრ კავშირში სპილენძის, ტყვიის, თუთიისა და ვოლფრამის მთელი გამოკვლეული მარაგის დაახლოებით ნახევარი და მოლიბდენის მთელი მარაგის მეხუთედზე მეტი, რომლებსაც შემდგომი ზრდის დიდი პერსპექტივები აქვთ. ყაზახეთი უმდიდრესი საწყობია სულ სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებისა, რომლებიც მრავალდარგოვანი მძლავრი ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობას იძლევიან. შუა აზია მდიდარია ქვანახშირით, ნავთობით, სპილენძის, ტყვიის, სურმის, ვერცხლისწყლის, ვოლფრამის საბადოებით და სხვა სახეობის მინერალური ნედლეულით.

ბელორუსიის, მოლდავეთის, ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობა, რომელიც ეყრდნობა წინათ არსებულ და ხუთწლედების წლებში შექმნილ ინდუსტრიულ ცენტრებს, კვლავაც უფრო მეტი წარმატებით განვითარდება, გამოიყენებს რა ამ მიზნით არა მარტო სხვადასხვა ადგილობრივ რესურსებს, არამედ აგრეთვე ფართო საწარმოო კოოპერაციას ჩვენი ქვეყნის სხვა ეკონომიურ რაიონებთან.

ეს მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ საბჭოთა ქვეყანას აქვს ყოველივე, რაც საჭიროა მრეწველობის სხვადასხვა დარგების შემდგომი კომპლექსური განვითარებისათვის, მთლიანად ჩვენი სახელმწიფოს, მისი ცალკეული რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც უკანასკნელ დროს განხორციელდა, მოკავშირე რესპუბლიკების, ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოება, ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოებასთან შესაძლებლობას ქმნის უფრო სრულად და რაციონალურად გამოვიყენოთ ჩვენში არსებული რესურსები, ჩავაყენოთ ისინი ხალხის სამსახურში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტიული გეგმა რამდენიმე ხუთწლედისათვის. ამ გეგმის ზოგიერთი მაჩვენებლის წინასწარი მონახაზები მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის, რომლებზეც მუშაობენ ჩვენი საგეგმო ორგანოები, ცხადყოფენ, თუ რა გიგანტური ნაბიჯი შეიძლება გადადგას წინ ახლა ჩვენმა ქვეყანამ თავისი სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

განვიხილოთ ზოგიერთი მონაცემები საბჭოთა კავშირში უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების თანამედროვე დონის შესახებ და შევადაროთ ისინი ყველაზე მძლავრი კაპიტალისტური ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებს ამავე პროდუქციის წარმოების შესახებ.

1957 წელს რკინის მადნის ამოღება საბჭოთა კავშირში შეადგენს დაახლოებით 84 მილიონ ტონას, ნახშირისა — 462 მილიონ ტონას (ანუ ქვანახშირზე გადაანგარიშებით 395 მილიონ ტონას), ნავთობისა — 98 მილიონ ტონას, თუჯის გამოდნობა — 37 მილიონ ტონაზე მეტს, ფოლადისა — 51 მილიონ ტონას, ელექტროენერგიის გამომუშავება — 210 მილიარდ კილოვატ-საათს, ცემენტის წარმოება — თითქმის 29 მილიონ ტონას, ფხვნილი შაქრისა — 4,5 მილიონ ტონაზე მეტს, შალის ქსოვილებისა — 280 მილიონ მეტრზე მეტს, ტყავის ფეხსაცმლისა — 315 მილიონამდე წყვილს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1956 წელს ამოღებული იყო რკინის მადანი 98 მილიონი ტონა, ნახშირი — 479 მილიონი ტონა, ნავთობი — 354 მილიონი ტონა, თუჯი გამოდნობილი იყო 69 მილიონი ტონა, ფოლადი — 104,5 მილიონი ტონა, ელექტროენერგია გამომუშავებული იყო 684 მილიარდი კილოვატსაათი, წარმოებული იყო ცემენტი — 54 მილიონი ტონა, შაქარი — 2,1 მილიონი ტონა, შალის ქსოვილები — 299 მილიონი მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი — 586 მილიონი წყვილი.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამერიკის შეერთებულ შტატებს ზოგიერთ ამ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დონით. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ წარმოების დონე ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენთვის უკვე არ წარმოადგენს რაღაც მიუღწეველ რამეს, როგორც ეს შეიძლებოდა ვინმეს მოსჩვენებოდა 25-30 წლის წინათ. ამჟამად ზოგიერთი სახეობის პროდუქციის, როგორც, მაგალითად, ხორბლის, მერქნის დამზადებისა და შაქრის წარმოების დარგში, საბჭოთა კავშირში გადამეტებულია ამერიკის წარმოების დონე. არსებითად შემცირდა რკინის მადნისა და ქვანახშირის ამოღების დონის, თუჯისა და ფოლადის წარმოების, ზოგიერთი მანქანებისა და ხელსაწყოების, ბამბისა და შალის ქსოვილების წარმოების დონის ერთმანეთისაგან დაშორება. საბჭოთა ხალხმა დაისახა სავსებით რეალური ამოცანა — უახლოეს წლებში დაეწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

წინასწარი მონახაზებით, რომლებსაც დაზუსტება დასჭირდება, მხედველობაშია მიღებული, რომ დაახლოებით 15 წელიწადში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური წარმოება სსრ კავშირში შემდეგ დონეს მიაღწევს: რკინის მადნის ამოღება — 250-300 მილიონ ტონას, თუჯის გამოდნობა — 75-85 მილიონ ტონას, ფოლადისა — 100-120 მილიონ ტონას, ქვანახშირის ამოღება — 650-750 მილიონ ტონას, ნავთობისა — 350-400 მილიონ ტონას, გაზის მოპოვება და წარმოება — 270-320 მილიარდ კუბურ მეტრს, ელექტროენერგიის გამომუშავება — 800-900 მილიარდ კილოვატ-საათს, ცემენტის წარმოება — 90-110 მილიონ ტონას, შაქრისა — 9-10 მილიონ ტონას, შალის ქსოვილებისა — 550-650 მილიონ მეტრს, ტყავის ფეხსაცმლისა — 600-700 მილიონ წყვილს.

ეს არის წინასწარი პროგნოზი, რომელიც შეიძლება ცხოვრებამ შეასწოროს ამა თუ იმ მხრივ, და ყველაზე უფრო იგი შეიძლება შესწორებულ იქნას დასახული გეგმების განხორციელების ვადების შემცირების მხრივ. გეგმიანი მეურნეობის წარმოების ჩვენი მდიდარი გამოცდილების დროსაც კი ძნელია აბსოლუტური სიზუსტით გაითვალისწინო წარმოების ზრდა სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებას, ჩვენი კადრების შემდგომ ზრდას, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის დაჩქარების დამატებითი წყაროები.

ვისახავთ რა ლითონის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, მხედველობაში გვაქვს სერიოზულად ავამაღლოთ შავი მეტალურგიის ნედლეულის ბაზა უწინარეს ყოვლისა რკინის მადნების უდიდესი საბადოების ათვისებით, რომლებიც აღმოჩენილია უკანასკნელ დროს. კრივოი როგის აუზში მადნის ამოღების გადიდებასთან ერთად ფართო მასშტაბით გათვალისწინებულია გაჩაღდეს მუშაობა კურსკის მაგნიტური ანომალიის, ყაზახეთისა და ციმბირის საბადოებში. უახლოეს წლებში რკინის მადნის ამოღების მხრივ საბჭოთა კავშირი პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახალხო მეურნეობაში გაზისა და ნავთობის უფრო ფართოდ გამოყენებას ქვანახშირის ნაცვლად. ამ მხრივ სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. საკმარისია ითქვას, რომ ძირითად სახეობათა სათბობის საერთო მოპოვებაში ბუნებრივ გაზზე საბჭოთა კავშირში მოდის მხოლოდ დაახლოებით ოთხი პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ბუნებრივი გაზის უმდიდრესი მარაგი აქვს.

ნავთობისა და გაზის უკეთ გამოყენება მნიშვნელოვან უპირატესობას იძლევა. ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მოპოვება უფრო ეკონომიურია. შრომის ხარჯვა ერთი ტონა ბუნებრივი გაზის მოპოვებაზე (პირობით სათბობზე გადაანგარიშებით) ქვანახშირის მოპოვებისათვის დახარჯულ შრომაზე ნაკლებია დაახლოებით 20-ჯერ, ხოლო ნავთობის ამოღებისათვის დახარჯულ შრომაზე ნაკლებია თითქმის ექვსჯერ. ბუნებრივი გაზის მოპოვების თვითღირებულება თითქმის 12-ჯერ მცირეა ქვანახშირის ამოღების თვითღირებულებაზე, ნავთობის ამოღების თვითღირებულება დაახლოებით სამნახევარჯერ ნაკლებია ქვანახშირის ამოღების თვითღირებულებაზე.

გაზის უდიდეს უპირატესობასთან დაკავშირებით მხედველობაშია მიღებული უახლოეს 10-15 წელიწადში გაზის მოპოვება და წარმოება ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 13—15-ჯერ გადიდდეს. გაზის მოპოვების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყენოთ იგი არა მარტო როგორც სათბობი, არამედ აგრეთვე აზოტოვანი სასუქებისა და ბევრი სხვა ქიმიური პროდუქტის მისაღებად.

ნავთობის ამოღებასთან ერთად გზადაგზა მოპოვებული გაზები საუკეთესო ნედლეულია ქიმიური მრეწველობისათვის.

გარდა ამისა, გაზის მრეწველობის განვითარება საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სამუშაოები ქალაქებისა და მუშათა დაბების გაზიფიკაციისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს გავათავისუფლოთ ათეულ მილიონობით მშრომელნი ყოფაცხოვრებაში დროისა და შრომის უნაყოფო ხარჯვისაგან. ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ უდიდეს საბინაო მშენებლობასთან ერთად გაზის ფართო გამოყენება ყოფაცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს აგრეთვე საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ ქალაქებისა და მუშათა დაბების ჰაერის გაჭუჭყიანება ქვანახშირის მტვერით და ნაცრით და მკვეთრად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

სამრეწველო წარმოების შემდგომი განვითარების გადაუდებელ ამოცანებს შორის უნდა გამოვყოთ აგრეთვე ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი. საქმე ეხება იმას, რომ უახლოეს წლებში მკვეთრად გავადიდოთ მინერალური სასუქების წარმოება, შევქმნათ პლასტიკური მასებისა და სინთეზური ბოჭკოს და სხვა სინთეზური მასალების მძლავრი მრეწველობა, რაც საშუალებას მოგვცემს ფართოდ გამოვიყენოთ ფერადი ლითონების, მცენარეული და ცხოველური ნედლეულის შემცვლელები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო გადავჭრათ მრეწველობისა და მშენებლობის მთელი რიგი ახალი ტექნიკური პრობლემები, არამედ მნიშვნელოვნადაც გავადიდოთ სახალხო მოხმარების კარგი ხარისხის საქონლის გამოშვება, ბევრად შევამციროთ მისი თვითღირებულება. ჩვენ შეგვიძლია სწრაფად მოვაწყოთ წარმოება პლასტიკური მასებისა, როგორც ლითონის შემცვლელებისა მანქანათმშენებლობაში, მშენებლობაში, რაც ხელს შეუწყობს მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. ჩვენ შეგვიძლია სწრაფად გავაფართოოთ ხელოვნური ბოჭკოს წარმოება, ტყავის, ბეწვის მაღალხარისხოვან შემცვლელთა წარმოება იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის ბუნებრივი ნედლეულის მზარდი ნაკადის დამატებით მივიღოთ ნედლეულის ახალი უდიდესი წყაროები.

ახლა მძიმე მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეულია ისეთი მიჯნა, როცა ჩვენ ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების ინტერესებს, ზიანი არ მივაყენოთ მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის შემდგომ განვითარებას, შეგვიძლია მნიშვნელოვნად უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ მსუბუქი მრეწველობა, კერძოდ, მეტი გამოვუშვათ ფეხსაცმელი და ქსოვილები მოსახლეობისათვის, რათა უახლოეს 5-7 წელიწადში საკმაოდ უზრუნველვყოთ ამ სახეობათა საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში წყდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა — რკინიგზის ტრანსპორტის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. პარტია და მთავრობა ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ განახორციელონ ფართო პროგრამა რკინიგზების ელექტროფიკაციისა, მოძველებული და არაეკონომიური ორთქლმავლების ნაცვლად ელექტრომავლების და თბომავლების დანერგვისა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ტრანსპორტის მთელი მუშაობა, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ იგი.

არანაკლებ ხელსაყრელი პირობები აქვს ჩვენს ქვეყანას იმისათვის, რომ ყოველმხრივ განავითაროს მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება უდიდესი წვლილია მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ოლქების, კერძოდ ციმბირისა და ურალის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გააჩაღეს მუშაობა ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისებისათვის. ეს განხორციელდება უმთავრესად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ტექნიკის უკეთ გამოყენების გზით.

ვეყრდნობით რა წარმატებებს, რომლებიც სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ მოიპოვა, და ვითვალისწინებთ რა მის უდიდეს რეზერვებს, ჩვენ უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება 11 მილიარდ ფუთამდე წელიწადში. რაც შეეხება მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებს, ჩვენი ამოცანა ის არის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და [illegible] ნიშნავს, რომ მოსახლეობის თანამედროვე რაოდენობის დროს ხორცის წარმოება უნდა გავადიდოთ 20-21 მილიონ ტონამდე, რძისა — 70 მილიონ ტონამდე.

შემდგომში მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები უნდა ვაწარმოოთ კიდევ მეტი ოდენობით, რათა საკმაოდ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებანი და საგარეო ვაჭრობის საჭიროებანი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უახლოეს წლებში უნდა გაადიდონ ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოება, აგრეთვე ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ჩაის წარმოება. საჭიროა მთავარი ყურადღება მივაქციოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, მოსავლიანობის ზრდას უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ცენტრალურ შავმიწანიადაგიან რაიონებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე რომ ვლაპარაკობთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შორეული აღმოსავლეთის უდიდესი რესურსების გამოყენებას. ახლა, როცა განუზომლად გაიზარდა ჩვენი შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის მხრივ, რეალური გახდა შორეული აღმოსავლეთის მიწის სიმდიდრეთა ათვისება. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავჭრით, ხოლო წარმატებაში არ შეიძლება დავეჭვდეთ, შორეული აღმოსავლეთი ბევრ სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მოგვცემს.

ახლა, როცა სოციალისტური სექტორი ძირითადი გახდა ყველა პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის მომარაგებაში, როცა ჩვენი ხალხი წყვეტს კომუნიზმზე გადასვლის ისტორიულ ამოცანას, პირველ პლანზე დგება საკითხები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც. შრომის პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომის ხარჯვის შემცირებას კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია, პარტია ახორციელებს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამას. შემდგომი მუშაობა ამ მიმართულებით დიდად იქნება დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულებაზე, რადგან ეს შეიცავს ფასების განუხრელი შემცირების რეალურ შესაძლებლობას. ამიტომ დადგა დრო, რომ კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა შევაფასოთ არა მარტო წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, არამედ აგრეთვე მისი თვითღირებულების მიხედვით. სწორედ ასე აყენებდა საკითხს ვ. ი. ლენინი, რომელიც მოითხოვდა ღრმად ჩავწვდომოდით სოციალისტური მეურნეობის ეკონომიკას, გვძღოლოდით მას ანგარიშიანად, მაქსიმალურად გამოგვეყენებინა მთელი არსებული შესაძლებლობანი.

ამხანაგებო! ჩვენი მეგეგმავი მუშაკების გაანგარიშებანი ცხადყოფენ, რომ უახლოეს 15 წელიწადში საბჭოთა ქვეყანას შეუძლია არა მარტო დაეწიოს, არამედ გადააჭარბოს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების თანამედროვე მოცულობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. რასაკვირველია, ამ ხნის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაც შეიძლება წინ წავიდეს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის ზრდის ტემპები, შესაძლებელია სავსებით რეალურად მივიჩნიოთ იმ ამოცანის შესრულება, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მშვიდობიან შეჯიბრებაში.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი საბჭოთა ხალხი ყოველივეს გააკეთებს იმისათვის, რომ გამარჯვებული გამოვიდეს ამ მშვიდობიან შეჯიბრებაში.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უახლოესი მომავლის ჩვენს გეგმებში გამოხატულებას პოულობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ინდუსტრიის გადამწყვეტი დარგების ზრდა დაახლოებით ორ-სამჯერ, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა მომავალ 15 წელიწადში შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, მივაღწიოთ საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

საბჭოთა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში, იგი სწორად აფასებს ამ წარმატებათა მნიშვნელობას და ამასთან ერთად კარგად აქვს შეგნებული, რომ ჩვენ გვაქვს ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანები, გვაქვს ნაკლოვანებანი, გვხვდება სერიოზული სიძნელენი, რომლებიც უნდა გადავლახოთ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში საგრძნობია ბინების მწვავე ნაკლებობა. ბინების ნაკლებობის მიზეზები გასაგებია. ჯერ-ერთი, საბჭოთა ხელისუფლებამ ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობად მიიღო წარმოუდგენელი გაჭირვება ბინების მხრივ. მეორე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობა სამნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდა. მესამე, ომისწინა წლებში იძულებული ვიყავით გაგვეწია ეკონომია ყველაფერში, მათ შორის ბინების მშენებლობაში, და თვითეული კაპიკი დაგვეზოგა მძიმე ინდუსტრიის შესაქმნელად. მეოთხე, საბჭოთა კავშირის საბინაო ფონდს უდიდესი ზარალი მიაყენა ომმა, რომელმაც უსახლკაროდ დატოვა 25 მილიონამდე კაცი.

ყოველივე ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ქალაქების საცხოვრებელი ფონდი 1913 წელთან შედარებით გადიდდა 3,7-ჯერ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა და აღდგენილ იქნა 500 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები (გლეხებისა და სოფლის ინტელიგენციის მიერ სახლების მშენებლობის ჩაუთვლელად). მაგრამ ჩვენ არა გვსურს დავკმაყოფილდეთ არც წარსულთან შედარებით, არც „მდიდარ" კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მილიონობით ადამიანს სახლკარი არა აქვს, ხოლო ათობით მილიონი ადამიანი ქოხმახებშია თავშეფარებული.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა საზრუნავს შორის, რომელიც დაკავშირებულია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, ახლა უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბინების მშენებლობის გაფართოებისათვის ზრუნვას.

სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების პროგრამა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს და რომელიც მთელმა ხალხმა მხურვალედ მოიწონა, ამოცანად სახავს საბინაო ფონდის მნიშვნელოვანი მატების უზრუნველყოფას, რათა უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მოეღოს ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობას. ეჭვი არ არის, რომ საბინაო პრობლემა ჩვენს ქვეყანაში უახლოეს წლებში წარმატებით გადაიჭრება.

ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ჩამორჩება როგორც რაოდენობით, ისე განსაკუთრებით ხარისხით სახალხო მოხმარების მთელი რიგი საგნების წარმოება, ჯერ კიდევ მაღალია ბევრი ამ საქონლის თვითღირებულება და ფასი.

დიდი მუშაობა მოგველის წარმოების შემდგომი გაუმჯობესების, მისი სპეციალიზაციის, კომპლექსური მე-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება)

[illegible] რული მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს. ზრუნვა მშრომელების ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერაციული და პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად მიღწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი დონე, შექმნილია საჭირო პირობები მშრომელთა კეთილდღეობის უფრო სწრაფი ტემპებით გაუმჯობესებისათვის, დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამოცანას ისევე წარმატებით გადავწყვეტთ, როგორც ვწყვეტდით ყველა ამოცანას, რომლებსაც პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სახავდნენ.

ჩვენი წინსვლა მით უფრო ჩქარი იქნება, რაც უფრო მაღალი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, რაც უფრო მჭიდროდ იქნებიან ისინი დაკავშირებულნი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

ახლა ჩვენი მოწინააღმდეგენიც კი აღიარებენ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ტექნიკური შეიარაღების დონით, სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრებით საბჭოთა კავშირს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ, საბჭოთა კავშირის მრეწველობამ ახლა არ იციან ისეთი საწარმოო-ტექნიკური პრობლემები, რომლებიც არ შეიძლებოდეს გადაიჭრას ჩვენში დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით. საბჭოთა ქვეყანამ მიაღწია ისეთ მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ და საწარმოო დონეს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას სულ უფრო მზარდი მოცულობით გამოიყენოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი, ისეთი ტემპებით განავითაროს საწარმოო ძალები, რომლებზე წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა.

მართლაც, განა წარმოსადგენი იყო ოცი წლის წინათ ესოდენ მოკლე ვადებში ისეთი გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების აგება, როგორიც არიან ის სადგურები, რომლებსაც ახლა ვაშენებთ ვოლგაზე, ანგარაზე, ენისეიზე? განა შეიძლებოდა წინათ ორ-სამ წელიწადში გადაგვეჭრა 36 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გრანდიოზული ამოცანა? სულ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ისეთი პრობლემები, როგორიც არის ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით, ჩქაროსნული რეაქტიული თვითმფრინავების, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნა შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდათ. ახლა თანამედროვე ეპოქის ეს რთული პრობლემები პრაქტიკულად წყდება და მათს გადაწყვეტაში საბჭოთა მეცნიერებს, ჩვენს მრეწველობას თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ. ახლა ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ საბჭოთა კავშირს მეცნიერების განვითარებაში ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი მეცნიერება და ტექნიკა ყოველმხრივ ვითარდებოდნენ, რომ ჰყვაოდეს მრავალეროვანი სოციალისტური კულტურა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები უფრო სწრაფად ინერგებოდეს წარმოებაში, შრომას უმსუბუქებდეს საბჭოთა ადამიანებს, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას.

ამხანაგებო! კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე თანამედროვე ეტაპზე დგას, დიდია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს როლი.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ყველა მშრომელთა დარაზმვა, მჭიდროდ შეკავშირება და მობილიზაცია კომუნიზმზე გადასვლის განსახორციელებლად, ფართო მასების აღზრდა კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით — აი რა განსაზღვრავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის მთავარ მიმართულებას.

საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენებამ, როგორც ცნობილია, გამოიწვია ღრმა პოლიტიკური ცვლილებანი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შექმნა, საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციების შეცვლა და განვითარება. თუ წინათ, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამდე, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იყო ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ნაშთების მტრული საქმიანობის ჩახშობა ჩვენს ქვეყანაში, ჩახშობა დამხობილი გაბატონებული კლასების ცდებისა აღედგინათ კაპიტალისტური წესები ჩვენს ქვეყანაში, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განმტკიცების შემდეგ ეს ფუნქცია თანდათან მოკვდა.

კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის მიხედვით საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციები კვლავაც უფრო სრულყოფილი გახდება და სახეს იცვლის.

სოციალიზმი რაღაც გაყინული, უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ როდია. სოციალიზმი არის ცოცხალი საზოგადოება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და სრულყოფილი ხდება, მუდამ ისწრაფვის რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს საზოგადოების ყველა წევრის სულ უფრო მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. სწორედ ასევე სოციალისტური სახელმწიფოც არ შეიძლება დარჩეს უცვლელ, გაყინულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ფორმად. არა, ისიც ვითარდება და სახეს იცვლის კომუნიზმისაკენ წინსვლის მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ და სრულად ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, მშრომელთა ნამდვილი სახალხო ხელისუფლება. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისათვის, ადგილებზე ინიციატივის გაშლისათვის, მრეწველობის მართვის გარდაქმნისა და საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრის ეკონომიურ რაიონებში გადატანისათვის უკანასკნელ წლებში მიღებული ღონისძიებანი ნიშნავენ დიდ ნაბიჯს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. ეს ღონისძიებანი ხელს უწყობენ ყველა საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის შემდგომ აღმავლობას, მათს კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმას სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მართვაში.

ახლა მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციებია საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის, მეურნეობის, კულტურისადმი ხელმძღვანელობის ფუნქციები, მშრომელთა ინტერესებისათვის შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის განხორციელება; მშრომელთა ყოველმხრივი აღზრდის ფუნქციები, მათ შორის შრომის ახალი დისციპლინის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვა; საგარეო პოლიტიკის დარგში — სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის თანმიმდევრული განხორციელება, მშვიდობის განმტკიცება; სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნების ურღვევი მეგობრობის, ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცება.

ლენინი გვასწავლიდა, რომ სახელმწიფოს სრული კვდომისათვის საჭიროა სრული კომუნიზმი, რომ სახელმწიფო მთლიანად მხოლოდ მაშინ მოკვდება, როცა დადგება კომუნიზმის უმაღლესი ფაზა, როცა საზოგადოება განახორციელებს წესს: „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, როცა შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე იქნება ყველა პროდუქტის სრული სიუხვე, ხოლო შრომა გახდება უპირველესი სასიცოცხლო მოთხოვნილება და ადამიანები ნებაყოფლობით იშრომებენ უნარის მიხედვით.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ სოციალისტური სახელმწიფოს ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაც, როგორიც არის ქვეყნის დაცვა გარედან თავდასხმის საფრთხისაგან, სოციალისტური წყობილების დაცვა იმ აგრესიის საფრთხისაგან, რომელსაც შეიძლება მიმართონ გარეშე იმპერიალისტურმა ძალებმა და მათმა აგენტურამ კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით. ჩვენი სახელმწიფოს ამ ფუნქციის მნიშვნელობა დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე, და, იქნებ, არა იმდენად ჩვენზე, რამდენადაც ჩვენს მტრებზე. რაც უფრო ნაკლები იქნება გარედან თავდასხმის საფრთხე, მით უფრო ნაკლებ ძალებსა და სახსრებს დავხარჯავთ ჩვენი სახელმწიფოს ამ ფუნქციის განსახორციელებლად, და პირიქით.

მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, სრული კომუნიზმისაკენ საზოგადოების წინსვლის მიხედვით მისი კვდომის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის შინაგანი განვითარების თვალსაზრისით სავსებით შესაძლებელი და ძალიან მიზანშეწონილი იქნება, რომ დიდი ხარჯები ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, სახელმწიფოს იმ ორგანოების შენახვისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალიზმის დაცვასთან მტრული ძალებისა და მათი აგენტურისაგან, მოვახმაროთ მეურნეობის კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. მაგრამ, სამწუხაროდ, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი ჯგუფების მტრული პოლიტიკა და მოქმედება საშუალებას არ გვაძლევს გავაკეთოთ ეს.

ეწევიან რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და წყვეტენ რა კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, საბჭოთა ადამიანები არ ივიწყებენ, რომ ჯერ კიდევ არსებობენ იმპერიალისტური ქვეყნები, რომელთა მმართველ წრეებს არ დაუკარგავთ სოციალიზმის მოსპობის იმედი. პოლიტიკური სიფხიზლე სოციალიზმის მტრების ხრიკებისადმი, მათი ცდებისადმი გააჩაღონ ახალი ომი, ყოველივე ღონისძიებით განმტკიცება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მისი შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც მზად არიან ყოველ მომენტში მოიგერიონ იმპერიალისტ აგრესორთა თავდასხმა, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი არის და იქნება.

საბჭოთა არმია და ფლოტი, გარემოსილნი ჩვენი ხალხის ზრუნვითა და სიყვარულით, ძლიერი არიან საბჭოთა მეომრების მაღალი მორალური სულისკვეთებით, თავიანთი პატრიოტული მოვალეობის ღრმა შეგნებით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით. ჩვენი არმიისა და ფლოტის ძალისა და ძლიერების მთავარი წყარო, როგორც ხაზგასმით აღნიშნა თავის გადაწყვეტილებებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულმა პლენუმმა, ის არის, რომ მათი ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და აღმზრდელია კომუნისტური პარტია. ჩვენი სამშობლოს დაცვის ინტერესები მოითხოვენ მტკიცე ბრძოლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის იმ მითითებათა შესრულებისათვის, რომ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვა ვიქონიოთ თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა და მეცნიერების დონეზე, დაუცხრომლად სრულვყოფდეთ საბრძოლო მომზადებას, ვაუმჯობესებდეთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას არმიასა და ფლოტში, ფხიზლად ვიცავდეთ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას, სოციალიზმის დიად მონაპოვართ.

იმის საწინდარი, რომ კომუნისტური მშენებლობის ისტორიული ამოცანები წარმატებით შესრულდება, არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და დარაზმულობა, მათი ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი, საბჭოთა ადამიანების ურყევი მისწრაფება აშენონ კომუნიზმი, მათი თავდადებული შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხის ძალა, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი როგორც შემოქმედმა ხალხმა, გმირმა ხალხმა, ის არის, რომ მის ბრძოლას თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, კომუნიზმის მაღალი იდეალებისათვის აი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მეთაურობს დიდი ლენინის მიერ შექმნილი და სოციალიზმისათვის ბრძოლებში გამოწრთობილი ჩვენი კომუნისტური პარტია. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრებით შთაგონებული პარტია ხალხის ღონისძიებებს წარმართავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად.

საბჭოთა ქვეყანა ამ ამოცანებს წყვეტს ახალი ისტორიული ვითარების პირობებში, როცა საბჭოთა ხალხთან ერთად არიან დიდი ჩინელი ხალხი, ყველა სოციალისტური ქვეყნის მშრომელები. სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება, მათი მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანობა ბევრად აადვილებს და აჩქარებს კაცობრიობის წინსვლას სოციალიზმის, პროგრესის, მშვიდობისა და აყვავების გზით.

ლენინის ხელმძღვანელობით დაარსებული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ერთგული თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა, ყველა ღონისძიებით გააფართოებს და განამტკიცებს ურღვევ მეგობრობას ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან, განავითარებს ნაყოფიერ თანამშრომლობას სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

### III.

### ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა, მსოფლიო სოციალიზმის ძალების ზრდა

ამხანაგებო!

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა სიმრავლის მხრივ, იმ ძირეულ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა მხრივ, რომლებიც ბევრი ხალხის ცხოვრებაში მოხდა, განვლილ ორმოც წელს ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო ისტორიაში. ეს ორმოცი წელი აღნიშნულია დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების ტრიუმფალური მსვლელობით, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ბორკილებისაგან ბევრი ქვეყნისა და ხალხის განთავისუფლებით. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ გამოიწვია მძლავრი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ტალღა, რომელმაც მთელ მსოფლიოს გადაუარა.

საერთაშორისო რეაქციამ მაშინ მოახერხა ჩაექრო რევოლუციის ცეცხლი დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში, დროებით გადაედო კოლონიური სისტემის ნგრევა. მაგრამ რეაქცია უძლური იყო მოესპო საბჭოთა რევოლუციის მიერ დათესილი თესლი, არაფერს აღარ შეეძლო შეეჩერებინა დიდი ოქტომბრის იდეების ძლევამოსილი მსვლელობა.

განვლილი ორმოცი წელი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყოველმხრივი სწრაფი ზრდის პერიოდი იყო. რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში წარმოიშვნენ, გაიზარდნენ და გამოიწრთნენ ძლიერი მარქსისტულ-ლენინური პარტიები; ისინი ახლა თავიანთ რიგებში აერთიანებენ 33 მილიონზე მეტ კომუნისტს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ხაზგასმით აღნიშნავდა რა ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობას, ამბობდა, რომ ეს გამოცდილება „შესულია ისტორიაში, როგორც სოციალიზმის მონაპოვარი, და მომავალი საერთაშორისო რევოლუცია თავის სოციალისტურ შენობას ამ გამოცდილების საფუძველზე ააგებს“ (თხზ., ტ. 27, გვ. 502). ისტორიული განვითარების მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ლენინის განჭვრეტა.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების შედეგად, რომლებიც გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში და მალე მისი დამთავრების შემდეგ, წარმოიშვნენ და ახლა წარმატებით ვითარდებიან სოციალისტური სახელმწიფოები ევროპასა და აზიაში. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყველაზე დიდი ისტორიული მოვლენა იყო რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. სოციალისტური მშენებლობის გზით მიდიან ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ხალხები. ამ ქვეყნების მშრომელები აშენებდნენ და აშენებენ სოციალისტურ შენობას ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდესი მონაპოვარია, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებაა. ეს დიდი გამარჯვება შედეგია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გმირული ღონისძიებებისა, შედეგია კომუნისტური და მუშათა პარტიების რევოლუციური ბრძოლისა, მათი უნარისა შემოქმედებითად შეუფარდონ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება თავიანთი ქვეყნების კონკრეტულ პირობებს.

მსოფლიო სოციალისტური ბანაკი დღეს წარმოადგენს უდიდეს, განუხრელად მზარდ ძალას. მსოფლიო ეკონომიკაში მის წილად მოდის ქვანახშირის მთელი ამოღების 37 პროცენტზე მეტი, თუჯისა და ფოლადის გამოდნობის დაახლოებით მეოთხედი, ბამბის წარმოების დაახლოებით მესამედი. საერთო მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში სოციალისტური ქვეყნების წილს დაახლოებით მესამედი უჭირავს.

ახლა არსებობს ორი მსოფლიო სისტემა — სოციალისტური და კაპიტალისტური. თვითეულ მათგანს განვითარების თავისი სპეციფიკური კანონები აქვს.

ლენინი გვასწავლის, რომ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია. კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია თანაბარი ეკონომიური განვითარება, მისი გარდუვალი თანამგზავრებია წარმოების ანარქია, კრიზისები, გაფთრებული კონკურენტული ბრძოლა მონოპოლიებს შორის, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. კაპიტალიზმის დროს გაბატონებულია ძალის პრინციპი. აქედან გამომდინარეობს მისწრაფება გადაჭრან წინააღმდეგობანი მუქარის, დიქტატის, ომების გაჩაღების, სხვისი ტერიტორიების, ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების მიტაცების საშუალებით. თუ ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნები წინ მიდიან, ამას ისინი აღწევენ ერთი მუჭა კაპიტალისტური მონოპოლიების მიერ მილიონობით მშრომელთა ძარცვის ფასად, დამოკიდებული და ნახევრადდამოკიდებული ქვეყნების ულმობელი ექსპლოატაციის ფასად. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პირველ რიგებში გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ახლა იქითკენ გამალებით ისწრაფვის დასავლეთი გერმანია, რომელიც ავიწროებს და განზე აგდებს ინგლისს, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ასეთია კაპიტალიზმის კანონი — ძლიერი სცემს სუსტს, ბატონობს მარტო ნაღდი ფული.

სულ სხვა ურთიერთობაა სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში შემავალ ქვეყნებს შორის. აქ მოქმედებს გეგმაშეწონილი ეკონომიური განვითარების კანონი. საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა, ნაციონალური სიმდიდრის გადიდება ახასიათებს სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის განვითარებას, საზოგადოებისა, რომლის მიზანია ხალხის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. სოციალიზმის ყველა ქვეყანა — დიდი და პატარა ქვეყნები, რომლებიც შორს წავიდნენ სოციალიზმის გზით ან ეს არის ახლა დაადგნენ ამ გზას, — სავსებით თანასწორუფლებიანი არიან. არც ერთი მათგანი არ აცხადებს პრეტენზიას რაიმე უპირატესობაზე, რაიმე პრივილეგიაზე. ერთი სოციალისტური ქვეყნის გამოცდილება მეორის კუთვნილება ხდება, თვითეული ქვეყნის წარმატებანი განამტკიცებენ არა მარტო ამ ქვეყანას, არამედ სოციალიზმის მთელ ბანაკსაც.

საბჭოთა კავშირმა პირველმა ააშენა სოციალიზმი. მან შეიძინა მდიდარი გამოცდილება და უზიარებს მას ყველა მოძმე ქვეყანას, ეხმარება მათ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. თავის მხრივ სხვა სოციალისტური ქვეყნები, რომლებსაც აგრეთვე დიდი და ძვირფასი გამოცდილება აქვთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში, ხალისით უზიარებენ ამ გამოცდილებას საბჭოთა კავშირს, ეხმარებიან მას.

სახალხო წყობილების გამარჯვებამ, ძმურმა ურთიერთდახმარებამ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ შესაძლებლობა მისცა ბევრ ხალხს თავი დაეღწიათ ეკონომიური ჩამორჩენილობის მარწუხებისათვის, რაც მათ მემკვიდრეობად დარჩათ კაპიტალიზმისაგან. სოციალისტური ქვეყნების უდიდესი წარმატებანი სიხარულით ავსებენ საბჭოთა ადამიანების, სოციალიზმის ყველა მეგობრის გულს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ჩინეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის ექვსჯერ გადიდდა. შორს არ არის ის დრო, როცა სახალხო ჩინეთი, შექმნის რა მძლავრ თანამედროვე მრეწველობას, ძლიერი ინდუსტრიული სახელმწიფო გახდება. მრეწველობის განვითარებაში დიდი წარმატებები მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რუმინეთმა, იუგოსლავიამ, ალბანეთმა.

მნიშვნელოვანია სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში სოციალიზმის საფუძვლებზე. მიდის რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, საბჭოთა კავშირმა სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნა თავისი სოფლის მეურნეობა. ახლა ასეთსავე ამოცანას წარმატებით წყვეტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც უკვე დაამთავრა სოფლის მეურნეობის კოოპერირება. სოციალისტურ სექტორს ბულგარეთის სოფლის მეურნეობაში უჭირავს დამუშავებული მიწის 85 პროცენტი, ჩეხოსლოვაკიაში — მიწის ფართობის 60 პროცენტი, რუმინეთში — მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობების 42 პროცენტზე მეტი. სოციალისტური გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებშიც ხორციელდება.

ეკონომიური განვითარების სწრაფი ტემპები სოციალისტური ქვეყნების დამახასიათებელი თავისებურებაა. ამ ქვეყნებმა 1956 წელს სამრეწველო წარმოება გაადიდეს 4-ჯერ და უფრო მეტად მათს ტერიტორიაზე წარმოების 1937 წლის დონესთან შედარებით. ახლა, როცა სოციალიზმის მსოფლიო სისტემას დიდად განვითარებული ინდუსტრიული ბაზა აქვს, სოციალისტურ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ კვლავაც სწრაფად განავითარონ თავიანთი ეკონომიკა, განუხრელად აამაღლონ მშრომელთა ცხოვრების დონე.

რა არის დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის საფუძველი?

სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილების პრინციპების ერთობა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, სოციალისტური მშენებლობის დიადი მიზნების ერთიანობა, თანასწორუფლებიანობა და ურთიერთდახმარება, ეროვნული დამოუკიდებლობისა და რევოლუციურ მონაპოვართა დაცვა თვითეულ ქვეყანაში და სოციალიზმის მთელ მსოფლიო სისტემაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვა, — აი საფუძველი, რომელზეც ვითარდება ეს ძმური თანამეგობრობა.

სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენენ მათი მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიები. განვითარების მთელი მსვლელობა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიების წინაშე ამჟამად პირველ პლანზე აყენებს ბრძოლას ერთიანობის განმტკიცებისათვის და თანამშრომლობის ფორმების განვითარებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგული კომუნისტური და მუშათა პარტიები ეწევიან ბრძოლას თავიანთი რიგების განმტკიცებისათვის, რევიზიონისტული ტენდენციებისა და ეროვნული შეზღუდულობისა და განცალკევების მავნე ცრურწმენათა წინააღმდეგ.

იმპერიალისტები, იცავენ რა თავიანთ დიდი ხნის წესს „გათიშე და იბატონე“, ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ ყოველგვარ ნაციონალისტურ ცრურწმენას სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში, აწყობენ იდეოლოგიურ დივერსიას ეგრეთწოდებული „ნაციონალ-კომუნიზმის“ ალმით. იმპერიალიზმის იდეოლოგები და მათი აგენტურა ცდილობენ დათესონ შოვინიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის შხამიანი თესლი, რათა ერთიმეორეს დაუპირდაპირონ სოციალისტური ქვეყნები.

ზოგიერთი მოღვაწე, რომელიც თავის თავს კომუნისტს უწოდებს და ასეთი პროპაგანდის ანკესს წამოეგო, მხარს უჭერს სოციალიზმს, მაგრამ ისე, რომ არ იყოს პროლეტარიატის დიქტატურა, საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ხელმძღვანელობდნენ მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტია, არ ხორციელდებოდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ჩვენი მოწინააღმდეგენი ასეთ პოლიტიკას „ლიბერალურ კომუნიზმს“ უწოდებენ, რითაც აშკარავებენ თავიანთ ფარულ სურვილს გადააქციონ კომუნისტები ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ლიბერალებად. თუ საითკენ მიდის თანამედროვე რევიზიონიზმის გზა, ჩანს ჯილასის ან იმრე ნადის მაგალითით, რომლებიც იქამდე მივიდნენ, რომ პირდაპირ უღალატეს სოციალიზმის საქმეს, თავიანთი ქვეყნების ძირეულ ეროვნულ ინტერესებს. სოციალიზმის ამ მტრების პოლიტიკური და იდეური პოზიციების განადგურება ემსახურება ამ ქვეყნებში სოციალიზმის და მთელი სოციალისტური სისტემის განმტკიცების საქმეს.

თანამედროვე რევიზიონისტთა არსენალში შედის აგრეთვე ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის ხოტბის შესხმა. ეს დიდი ხნის ცნობილი ხერხია, რომელიც მათ გადმოიღეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისაგან. ერთ დროს ასეთივე პოზიციებიდან ეწეოდნენ გაფთრებულ ბრძოლას ლენინისა და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ რენეგატი კაუცკი, მენშევიკები და ესერები. „ბრძენნი“ მემარჯვენე სოციალისტების ლიდერთაგან, ხოლო მათთან ერთად უახლესი რევიზიონისტებიც, დაახლოებით ასე მსჯელობენ: აი კომუნისტები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ხელისუფლების სათავეში დგანან, რომ დაუშვებდნენ სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ მტრული პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობას, მაშინ ჩვენ ვაღიარებდით, რომ მათ თავისუფლება აქვთ და ხოტბას შევასხამდითო.

მაგრამ ასეთი რამისათვის კომუნისტების ქება რევიზიონისტებს არ დასჭირდებათ! ჩვენ ვდგავართ სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და განვითარების, სოციალისტური, და არა ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარების ლენინურ პოზიციებზე, და ლენინურ პოზიციებს არ გადავუხვევთ!

გარდამავალი პერიოდის სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების წინააღმდეგ ბრძოლის გაკვეთილი, მოწმობს, რომ მუშათა კლასს უნდა ჰქონდეს უნარი დაიცვას თავისი ხელისუფლება შინაური და გარეშე მტრებისაგან, მშრომელთა სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს სოციალიზმის მშენებლობისადმი ხელმძღვანელობას, ავითარებდეს და აღრმავებდეს სოციალისტურ დემოკრატიზმს.

თანამედროვე პირობებში წარმოიშვა სოციალისტური სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმები. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ არის მარქსისტულ-ლენინური პარტია, ისე შეუძლებელია სოცია-

(გაგრძელება მე-7 გვერდზე).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება)

ლისტური სახელმწიფოს არსებობა, შეუძლებელია მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის ორგანიზება, შეუძლებელია მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის უზრუნველყოფა, შეუძლებელია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულება.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ყველა ხალხი და ქვეყანა დაამყარებს სოციალიზმს, მაგრამ დაამყარებს არა ერთნაირად, თვითეული ქვეყანა შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ ნაირსახეობაში, ბოლოს, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის სოციალისტური გარდაქმნის ტემპებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის გზით მიმავალი ყველა ქვეყნის განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ეს ლენინური დებულება.

ზოგიერთი ცდილობს ხელი ჩასჭიდოს ლენინურ დებულებებსა და პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა ფორმებისა და სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა მეთოდების შესახებ. ისინი თავისებურად განმარტავენ ამ დებულებებს: თუ ლენინმა მიგვითითა, ხოლო XX ყრილობამ დაადასტურა და შემდგომ განავითარა ლენინური დებულება სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების შესახებ, მაშასადამე, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა საჭირო არ არისო. ასეთი თვალსაზრისის მომხრენი აცხადებენ, რომ თვითეულ ქვეყანას თითქოს შეუძლია იაროს სოციალიზმისაკენ რაღაც თავისი, განსაკუთრებული გზებით, რომლებსაც თითქოს საერთო არა აქვთ რა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

მეცნიერული სოციალიზმის თეორია ითვალისწინებს და არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს თვითეული ქვეყნის ისტორიულ თავისებურებებს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრავენ სოციალიზმის მშენებლობის ფორმებსა და მეთოდებს. ეს თავისთავად იგულისხმება. იმათგან, ვინც ნამდვილად დგას რევოლუციურ პოზიციებზე, არავის აზრადაც არ მოსდის, რომ სოციალიზმის მშენებლობის დროს შეიძლება უგულებელვყოფდეთ სოციალურ-ეკონომიურ და ისტორიულ თავისებურებებს ცალკეული ქვეყნების განვითარებაში. თუ დავეყრდნობით მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს, პირველ პლანზე უნდა ვაყენებდეთ არა ამა თუ იმ თავისებურებებს, რომლებიც თვითეულ ქვეყანას აქვს, არამედ იმ მთავარს, იმ საერთოს, რაც საფუძვლად უდევს სოციალიზმისათვის ბრძოლას.

განსხვავება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში შეიძლება, მაგალითად, გამოვლინდეს წარმოების მართვის ამა თუ იმ ფორმის, სოფლის მეურნეობის კოოპერირების ამა თუ იმ მეთოდის შექმნის საკითხებში, მაგრამ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ლიკვიდაცია, გლეხობის კოოპერირება — ეს არის საერთო, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატებით განვითარდეს სოციალისტური წყობილება. ცნობილია, რომ მრეწველობის მართვის საკითხებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წყვეტენ ჩინეთის კონკრეტული პირობების შესაბამისად, სხვანაირად, ვიდრე საბჭოთა კავშირში, სხვანაირად, ვიდრე, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში. მაგრამ მართვის კონკრეტული ფორმების სხვადასხვაობის პირობებში ურყევი რჩება მთავარი რამ — სოციალიზმის მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება.

სოციალიზმის ავტორიტეტი მშრომელთა შეგნებაში ისე გაიზარდა, სოციალიზმის იდეები ისე დაეუფლა მასების გონებას, რომ ახლა სოციალიზმის ყველაზე შორსმჭვრეტელი მოწინააღმდეგენი და კაპიტალიზმის მომხრენიც კი მზად არიან შეურიგდნენ თვით სახელწოდებას — სოციალიზმს, მაგრამ ცოტაოდენი დამატებით — „ეროვნული სოციალიზმი“ ან „ეროვნული კომუნიზმი“.

ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგეებისათვის ძნელია ბრძოლა სოციალიზმის ქვეყნების ერთიანი და მტკიცედ შედუღაბებული ფრონტის წინააღმდეგ. მათ იმედი აქვთ გაუსწორდნენ თვითეულ სოციალისტურ ქვეყანას ცალცალკე, რათა ამრიგად სცადონ სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის შესუსტება.

სოციალიზმის მოწინააღმდეგენი ოცნებობენ, რომ კომუნისტებმა დაიწყონ სოციალიზმის რაღაც სრულიად „ახალი“, ხელოვნური გზების ძებნა თვითეული ქვეყნისათვის ცალკე, ხოლო სოციალისტური მშენებლობის დიდი გამოცდილება, რომელიც საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებშია, დაივიწყონ. ისინი გვთავაზობენ ვიაროთ სოციალიზმისაკენ თითო-თითოდ, ასე ვთქვათ, გაფანტულად, ვიხეტიალოთ ცალცალკე და ამასთან სხვადასხვა ბილიკებით. ასეთ თვალსაზრისს რომ დავადგეთ, შეიძლება იმდენი „გზა“ აღმოჩნდეს, რომ ადამიანებს გზა დაებნევათ, როგორც ტყეში, და არ ეცოდინებათ, როგორ მიაღწიონ თავიანთ დიად მიზანს. მაგრამ ეს ვარაუდი განწირულია ჩასაფუშავად. კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებმაც გამოიცნეს სოციალიზმის მტრების განზრახვები, მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ მათ, მტკიცედ დგანან მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე და ნებას არავის მისცემენ გადაახვევინონ სწორი გზიდან. იმის ცდები, რომ შიგნიდან გამოუთხარონ ძირი სოციალისტურ მოძრაობას, დაშალონ და ერთმანეთს წაჰკიდონ სოციალისტური ქვეყნები და პარტიები, მსოფლიო სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი ფორმაა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, და ჩვენ მის წინააღმდეგ უაღრესად მტკიცე ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

სოციალიზმის მთავარი გზა უკვე გაკაფულია, სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ფორმები და მეთოდები შემოწმებულია ცხოვრებით, ბევრი სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებით. საჭიროა გავაუმჯობესოთ ეს ფორმები და მეთოდები, საჭიროა ავითვისოთ და განვაზოგადოთ შეძენილი უდიდესი გამოცდილება, მასების აღმშენებლობითი შემოქმედების გამოცდილება, გავამდიდროთ იგი, დაუცხრომლად ვავითარებდეთ ყოველი ქვეყნის, ყოველი ხალხის პირობების შესაბამისად, განვამტკიცებდეთ და არა ვარყევდეთ სოციალიზმის ბანაკს, მაშინ სოციალისტური საზოგადოება განუხრელად განვითარდება, გაიზრდება, გადალახავს ყველა დაბრკოლებას, ყველა სიძნელეს.

მიაქვთ რა იერიში სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მათი ერთიანობის წინააღმდეგ, იმპერიალისტური წრეები და მათი აგენტურა თავიანთ მთავარ ღონისძიებებს მიმართავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რატომ? იმიტომ, რომ სსრ კავშირი ყველაზე მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოა. დიდია მისი მაგალითის გავლენა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაზე, კოლონიურ ხალხებზე, რომლებიც იბრძვიან ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. იმპერიალისტებს ეშინიათ საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერებისა, ეშინიათ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა. ამიტომ ისინი ყოველი ღონისძიებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას და ამით სახელი გაუტეხონ მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებს.

აი ამიტომ რევოლუციურ პარტიებს, ყველა რევოლუციონერს, რომლებიც კლასობრივ, მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე დგანან, თავიანთ წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ განამტკიცონ ინტერნაციონალური კავშირი, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ყველა სოციალისტურ ქვეყანას, განამტკიცონ ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობა, მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობა.

ამხანაგებო! სოციალიზმი ამჟამად უდიდეს, განუწყვეტლივ მზარდ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, სახეს უცვლის დედამიწას. ცხოვრება ადასტურებს მარქსიზმის დიდ ჭეშმარიტებას, რომ სოციალიზმი ქმნის სწრაფი საზოგადოებრივი განვითარების შესაძლებლობას. რა შეუძლია დაუპირდაპიროს ამას თანამედროვე კაპიტალიზმმა? 1937-დან 1956 წლამდე, როცა სოციალისტურმა ქვეყნებმა თავიანთი წარმოება ოთხჯერ და მეტად გაადიდეს, კაპიტალისტურმა სამყარომ, მიუხედავად კონიუნქტურის ხელოვნური „გამხნევების“ ყველა ღონისძიებისა, მათ შორის მიუხედავად შეუკავებელი გამალებული შეიარაღებისა, მხოლოდ გააორკეცა პროდუქციის გამოშვება. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი კვლავ მწვავდება, ღრმავდება ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროს ღრღნიან. ახალი ფორმებით ჩაღდება ბრძოლა როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ისე ამ ქვეყნებს შიგნით შრომასა და კაპიტალს შორის. კაპიტალიზმის საერთო კრიზისი აგრეთვე ვლინდება ქრონიკული უმუშევრობით და საწარმოთა დაუტვირთაობით, ჭარბი წარმოებით და დროდადრო წარმოშობილი კრიზისული მოვლენებით მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკისა და ეკონომიკის განუყოფელ თვისებას წარმოადგენს გიგანტური ზრდა მილიტარიზმისა — თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ამ ავთვისებიანი სიმსივნისა.

ისტორიის მიერ განწირულ კაპიტალისტურ სისტემას აღარ ძალუძს დასახოს თავისი განვითარების ისეთი მიზნები, რომლებსაც შეეძლოთ აღაფრთოვანონ და გაიტაცონ მილიონობით ადამიანი. ისწრაფვიან რა გაახანგრძლივონ თავიანთი არსებობა, კაპიტალისტები მიმართავენ შენიღბვისა და მოტყუების უაღრესად ხერხიან ფორმებს, მიმართავენ ყალბ ფრაზებს „სახალხო კაპიტალიზმის“, „დემოკრატიული კაპიტალის“ შესახებ, „საყოველთაო კეთილდღეობის“ ბურჟუაზიული სახელმწიფოს შესახებ და სხვ. მაგრამ ვერც კაპიტალიზმის დამცველთა იაფფასიანი პროპაგანდისტული ხრიკები, ვერც იმპერიალისტთა ცდები იარაღის ძალით შეაჩერონ სოციალიზმის ზრდა ვერ შეაჩერებენ ისტორიული განვითარების სვლას.

რეფორმისტები, რომლებიც აქებენ თანამედროვე კაპიტალიზმს, ქება-დიდებას ასხამენ სოციალურ კანონმდებლობას, რომელიც უკანასკნელ ორმოც წელიწადში ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში შემოიღეს. მაგრამ ისინი ამასთან მალავენ იმ მთავარ ფაქტს, რომ თუ კიდევაც გაკეთებულია ზოგიერთი დათმობა კაპიტალისტების მხრივ, ეს დათმობანი მოპოვებულია მუშათა კლასის მტკიცე ბრძოლის შედეგად. სოციალისტური ქვეყნების მიღწევები აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ამავე დროს აიძულებენ ბურჟუაზიას, რომელიც თავისი ბატონობის შენარჩუნებას ესწრაფვის, გააკეთოს სოციალურ-ეკონომიური ხასიათის დათმობანი. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ შესანიშნავი ამერიკელი მწერლის თეოდორ დრაიზერის სიტყვები, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 30-იან წლებში სოციალური კანონმდებლობის შემოღების გამო ამბობდა: „ყოველივე ამის გამო მადლობას ვუძღვნი მარქსსა და წითელ რუსეთს“.

იმპერიალიზმის ქვეყნებში ძლიერდება ექსპლოატაცია, წარმოებს შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონისა და დემოკრატიული უფლებების წინააღმდეგ, ძლიერდება ფაშიზმისა და ომის საფრთხე. მაგრამ ამ ქვეყნებში არის მუშათა კლასი, არიან მშრომელთა სხვა ფენები, პროგრესული ინტელიგენცია, ესე იგი ხალხის ის ძალები, რომლებიც საერთოდ დგანან სოციალისტურ და დემოკრატიულ პოზიციებზე, იბრძვიან მშვიდობისათვის — და, უეჭველია, ამ ძალებს ეკუთვნით მომავალი.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება განსაკუთრებული ძალით ვლინდება კოლონიური სისტემის დაშლით. საქმე ამ სამარცხვინო სისტემის სრული ლიკვიდაციისაკენ მიდის. განთავისუფლდნენ ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ეგვიპტე, სირია და მთელი რიგი სხვა ქვეყნები. მოიშორეს რა კოლონიური უღელი, აღმოსავლეთის ქვეყნები ეძებენ თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღორძინების გზებს. ყველა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყანაში იზრდება ხალხთა მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ქვეყნებს, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ კოლონიების ან ნახევრადკოლონიების მდგომარეობაში იყვნენ, ახლა არა მარტო პოლიტიკური განთავისუფლება სურთ, ისინი ისწრაფვიან განთავისუფლდნენ ეკონომიური ბორკილებისგანაც, რომლებიც ამ ქვეყნებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე დამოკიდებულს ხდიან. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის გაფთრებული ბრძოლაა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში გავლენისათვის. კოლონიზატორები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ ზოგიერთი ქვეყნიდან, მაგრამ მათ იქ დატოვეს თავიანთი ხელშემწყობნი ბურჟუაზიისა და ფეოდალების წრიდან. კოლონიზატორთა ეს ხელშემწყობნი, რომლებიც თითქოს თავიანთი ქვეყნების ინტერესების პოზიციებიდან მოქმედებენ, სინამდვილეში იმპერიალისტ დამპყრობთა პოლიტიკას ახორციელებენ.

ახლა ჩნდება კოლონიური პოლიტიკის სხვა ფორმები, რომლებსაც უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სამხარი ავანტიურის მარცხის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა წამოაყენეს „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“, გამოაცხადეს რა, რომ შუა აღმოსავლეთში თითქოს შეიქმნა „ვაკუუმი“ (სიცარიელე) და რომ ისინი მოწოდებული არიან შეავსონ ეს სიცარიელე.

მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ არავითარი „ვაკუუმი“ შუა აღმოსავლეთში არ არის. ცხოვრებისათვის გამოსადეგი მიწები იქ მჭიდროდ დასახლებულია. იქ ცხოვრობენ და შრომობენ თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხები — უძველესი კულტურის ხალხები, რომლებიც ბუნებას ბრძოლით ართმევენ მის ნაყოფს. „ვაკუუმის“ კოლონიზატორული თეორია სინამდვილეში ნიშნავს იმპერიალისტთა ქედმაღლურ დამოკიდებულებას არაბი ხალხებისადმი, უარს იმაზე, რომ აღიარონ არაბთა ქვეყნების დამოუკიდებლობა, რომლებიც თითქოს აუცილებლად უნდა დაემორჩილონ ან ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორებს, ან კოლონიზატორებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან. არაბული აღმოსავლეთის ხალხები კი იბრძვიან როგორც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის, ისე ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მათ ესმით, რომ ყველა იმპერიალისტი საშიშია მათი სიცოცხლისათვის. ახლა ამერიკელი იმპერიალისტები შეთქმულების ქსელს აბამენ სირიის წინააღმდეგ. ისინი ამ ბინძური ზრახვებისათვის იყენებენ ისრაელს, აქეზებენ თურქეთს ავანტიურისა და პროვოკაციებისათვის.

იმპერიალისტები ცდილობენ ყოველი საშუალებით გააგრძელონ თავიანთი ბატონობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. რასაკვირველია, კოლონიზატორებს ჯერ კიდევ ბევრი ძალა აქვთ, არ შეიძლება მცირედ წარმოვიდგინოთ საფრთხე, რომელიც აღმოსავლეთის ხალხებს ემუქრება. მაგრამ უცილობელი ისტორიული ფაქტები მოწმობენ იმას, რომ აღმოსავლეთში იმპერიალიზმის ბატონობის მზე ჩაესვენა.

უდიდესი მიმზიდველი ძალა საბჭოთა კავშირის მაგალითისა, რომელმაც აღმოსავლეთში შექმნა სოციალიზმის შუქურები — შუა აზიის აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მაგალითი, — ყოველივე ეს აღაფრთოვანებს აღმოსავლეთის ხალხებს მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. აზიისა და აფრიკის ხალხებს ჰყავთ უანგარო მეგობრები საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის სახით, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ სამართლიან პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

ჩვენმა სახელმწიფომ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე კატეგორიულად უარყო საერთაშორისო ურთიერთობაში ყოველივე ის, რაც ეყრდნობა მძარცველობას, ძალმომრეობას, დაპყრობას, მან მტკიცედ გამოაცხადა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და თანასწორუფლებიანი ეკონომიური ურთიერთობის პრინციპი.

1917 წლის 8 ნოემბერს, ასაბუთებდა რა ზავის შესახებ დეკრეტის დებულებებს, ვ. ი. ლენინმა საბჭოების II ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა: „ჩვენ უარვყოფთ ძარცვისა და ძალმომრეობის ყველა მუხლს, მაგრამ ყოველ მუხლს, რომელიც შეიცავს კეთილმეზობლურ პირობებს და ეკონომიურ შეთანხმებებს, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ, ჩვენ მათ ვერ უარვყოფთ“ (თხზ., ტ. 26, გვ. 296).

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მომენტიდან მან თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად დაუდო სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჯერ კიდევ 1918 წელს ლენინმა სასაცილოდ აიგდო ის მავნე იდეა, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები თითქოს კრძალავდნენ რაიმე ზავს იმპერიალისტებთან. ის მაშინ წერდა: „იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მოქცეული სოციალისტური რესპუბლიკა, ამგვარ შეხედულებათა თვალსაზრისით, ვერავითარი ეკონომიური ხელშეკრულების დადებას ვერ შეძლებდა, იგი ვერ იარსებებდა, თუ მთვარეზე არ გაფრინდებოდა“ (თხზ., ტ. 27, გვ. 66). სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთ პლანეტაზე არსებობენ და მათი თანაარსებობა ისტორიული გარდუვალობაა.

ჩვენ ვიცავთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას და ვიბრძვით როგორც იმისათვის, რომ მივაღწიოთ ორმხრივ მეგობრულ შეთანხმებებს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, ისე იმისათვის, რომ მივაღწიოთ შეთანხმებებს კოლექტიური უშიშროების შესახებ ევროპასა და აზიაში.

სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას საფუძვლად უდევს ცნობილი ხუთი პრინციპი: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, თავდაუსხმელობა, ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზებით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა. უნდა ვაღიაროთ ის რეალური ფაქტი, რომ არსებობენ სოციალისტური სახელმწიფოები და კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომ ისინი მიდიან თავიანთი გზით, რომ ამ სახელმწიფოებში არსებული წყობილება ხალხთა საშინაო საქმეა. საჭიროა სახელმწიფოთა ურთიერთობის ყველა სადავო საკითხი გადავჭრათ მოლაპარაკების გზით, უომრად. ვიცხოვროთ უომრად მშვიდობიანი შეჯიბრების საფუძველზე — აი რა არის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველი.

საბჭოთა კავშირი, თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ცდილობს დასავლეთის ქვეყნებთან მიაღწიოს ურთიერთმისაღებ შეთანხმებებს განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. საბჭოთა კავშირი მზად არის მნიშვნელოვნად შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება, აკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამ იარაღის გამოცდა, საერთაშორისო კონტროლის დაწესებით, თუ დასავლეთის ქვეყნები განახორციელებენ ამავე ღონისძიებებს. ჩვენი ქვეყანა საქმეს როდი დააბრკოლებს.

თუ ყველა სახელმწიფო და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სახელმწიფოები, რომლებსაც ყველაზე მძლავრი ეკონომიური და სამხედრო რესურსები აქვთ, საქმიანად, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიაღწევენ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის განიარაღების საკითხების გადაჭრას, ახალი ომის თავიდან აცილებისა და ყველა ქვეყნისა და ხალხისათვის მტკიცე და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფის შანსები მნიშვნელოვნად გაიზრდება. საბჭოთა კავშირი განუხრელად დაიცავს თავის იმ კურსს, რომ შეანელოს დაძაბულობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, გააუმჯობესოს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, რამდენადაც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთგაგების დამყარებას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაზე. ამასთან ჩვენ გვინდა ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის გავაუმჯობესოთ არა იმ გზით, რომ ზიანი მიადგეს სხვა ქვეყნების ინტერესებს, არა იმ გზით, რომ გაუარესდეს ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვა სახელმწიფოებთან. უფრო მეტიც, ჩვენს ქვეყანას სურს კარგი ურთიერთობა იქონიოს ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც ომის წინააღმდეგი არიან და მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე დგანან, და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ასეთი ურთიერთობა დავამყაროთ. ამისაკენ მიმავალი სწორი გზაა უარისთქმა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკაზე, რადგან ასეთი პოლიტიკის უმაღლესი ფაზა ომია.

იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ ისეთი ფაქტიც კი, როგორიც არის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება საბჭოთა კავშირში. მათ ბუკის ცემა და განგაში ატეხეს, აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ თანამგზავრის გაშვება თითქოს საფრთხეს უქმნიდეს მშვიდობას, ახალი იარაღით ემუქრებოდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენს ხალხს არასოდეს არ უფიქრია და მომავალშიც არ იფიქრებს გამოიყენოს მოსპობის რაიმე საშუალება, თუ ჩვენს ქვეყანას თავს არ დაესხმიან იმპერიალისტური სახელმწიფოები. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ თუ საბჭოთა კავშირმა მეცნიერთა, ინჟინერთა [illegible] მუშაობის შედეგად შეძლო შეექმნა დედამიწის თანამგზავრი, სხვა ქვეყნებსაც, და განსაკუთრებით ისეთ დიდადგანვითარებულ ქვეყანას, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, შეუძლიათ იგივე შექმნან. ცხადია, იმას, რასაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დროის მხრივ ჩვენ მოვიგეთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეჯიბრებაში. მაგრამ არ შეიძლება იმ სახელმწიფომ, რომელმაც პირველმა მიაღწია ასეთ შედეგს, გააღვივოს ვნებათა ღელვა, რომელიც გაამწვავებდა „ცივი ომის“ ატმოსფეროს და შექმნიდა პირობებს გამალებული შეიარაღებისათვის, ხოლო ცნობილია, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, გამალებულ შეიარაღებაში შეჯიბრება ომს იწვევს, თანამედროვე პირობებში კი ომი აურაცხელი მსხვერპლია, კოლოსალურ მატერიალურ ფასეულობათა მოსპობაა.

ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა ამას წინათ მოაწყეს სეპარატული შეხვედრა, რათა ეძებნათ გზები არა დაძაბულობის შენელებისა, არამედ, პირიქით, მისი გაძლიერებისა, გამალებული შეიარაღების განგრძობისა. ჩვენ გვინდა, რომ მოეწყოს კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა და სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა მაღალ დონეზე, რათა რეალური სინამდვილის გათვალისწინებისა და ურთიერთგაგების საფუძველზე შეთანხმდნენ იმაზე, რომ გამორიცხონ ომი როგორც საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის მეთოდი, შეწყვიტონ ცივი ომი და გამალებული შეიარაღება, დაამყარონ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა თანაარსებობის საფუძველზე, გადაჭრან სადავო საკითხები არა ომის გზით, არამედ მოლაპარაკების გზით, ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, ადამიანის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უკეთ დაკმაყოფილებაში მშვიდობიანი შეჯიბრების გზით.

ასეთსავე პოზიციებს ადგანან ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, ის სოციალისტური პარტიები, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებს იცავენ. მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე დგას ზოგიერთი ბურჟუაზიული პარტიაც.

ხოლო ახლა მშვიდობისმოყვარე ხალხები უსაფუძვლოდ როდი გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ „შეჯიბრება“ სხვა მიმართულებით წარმოებს. როგორც დაგვანახვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ამასწინანდელმა შეხვედრამ, ამ ორი წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოს მმართველი წრეები განაგრძობენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელების კურსს. ამ შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებული კომუნიკედან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის მხრივ თითქოს გაძლიერებული საფრთხის საბაბით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები შეთანხმდნენ „ცივი ომის“ შემდგომი გაღვივების, მოსპობის საშუალებათა წარმოებისათვის სამხედრო ასიგნობათა გადიდების, მაშასადამე, ომისათვის მზადების შესახებ.

დეკემბრისათვის დანიშნულია აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალი სახელმწიფოების მთავრობათა ყველა მეთაურის შეხვედრა, რაც კარგს არაფერს უქადის მშვიდობის საქმეს. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნატოში შემავალ მთელ რიგ ქვეყნებში მთავრობებს მეთაურობდნენ ან მეთაურობენ სოციალისტური პარტიების ლიდერები. ეს პარტიები სოციალისტური პარტიების სახელს ირქმევენ, ნამდვილად კი იმპერიალისტური წრეების პოლიტიკას ახორციელებენ. მათ შეცდომაში შეჰყავთ მუშათა კლასი, ცდილობენ საქმე ისე დახატონ, თითქოს საბჭოთა კავშირს არ უნდოდეს შეთანხმება განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებზე და ვითომდა ამიტომ ისინი იძულებული არიან განაგრძონ გამალებული შეიარაღება. მაგრამ ეს მშრომელთა მოტყუებაა, და სოციალისტური პარტიების ზოგიერთი ლიდერის ასეთ პოლიტიკას მარჯვედ იყენებენ იმპერიალისტები.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა მეთაურებმა ბატონებმა ეიზენჰაუერმა და მაკმილანმა თავიანთ შეხვედრაზე მიიწვიეს ნატოს ახლანდელი მდივანი ბატონი სპააკი, რომელიც ბელგიის სოციალისტური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ფაქტები ცხადყოფენ, რომ იმპერიალისტები გულმოდგინედ აბამენ ომის მომზადების ანტიხალხურ საქმეში მემარჯვენე სოციალისტებს.

მაგრამ რა ხერხებსაც უნდა მიმართონ იმპერიალისტებმა, მათს წამოწყებებს ჩაფუშვა მოელის. ხალხებს ომი არ უნდათ, ისინი ფხიზლად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე, იბრძოდნენ და კვლავაც იბრძოლებენ საერთაშორისო რეაქციის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი მუდამ იცავდა და იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში და ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან აცილებულ იქნას ახალი ომის საფრთხე. ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ განიარაღებისათვის, ადამიანთა მასობრივი გაჟლეტის იარაღის აკრძალვისათვის, ვიბრძოლებთ ხალხთა შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნისათვის, იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაიქცეს მშვიდობის ნამდვილ ინსტრუმენტად.

იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეები ისწრაფვიან შექმნან, სადაც კი შეიძლება, კონფლიქტები, გააძლიერონ ომის საფრთხე, ამით სოციალისტური ქვეყნების მნიშვნელოვანი ძალები და სახსრები ჩამოაშორონ შემოქმედებითს შრომას. აგრესიული წრეების ტაქტიკა ის არის, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შემოარტყან თავიანთი სამხედრო ბაზები, შექმნან და გააფართოონ სამხედრო ბლოკები.

საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებისა და გაძლიერების პოლიტიკა იმპერიალისტური რეაქციის ხაზია. იმპერიალისტები ეწევიან ცივი ომის პოლიტიკას და ისწრაფვიან მხარი დაუჭირონ გამალებულ შეიარაღებას. ეს ყველაზე კონკრეტულად გამოხატულია დალესის იმ კონცეპციაში, რომ ყოველთვის „ომის ზღვარზე“ ამყოფოს მსოფლიო. ასეთი გზით იმპერიალისტებს სურთ უზრუნველყონ მაღალი კონიუნქტურა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებისათვის, რომლებიც მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით, ზრდიან მშრომელთა საგადასახადო ტვირთს. მათთვის ხელსაყრელი არ არის საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და განიარაღება. გამალებულ შეიარაღებაზე უარის თქმა იძულებულს გახდიდა მონოპოლიებს გადაეყვანათ წარმოება სამხედრო რელსებიდან სამშვიდობო პროდუქციის გამოშვებაზე. წარმოების ასეთი გარდაქმნა ხალხის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, მაგრამ იგი აშინებს მონოპოლისტებს, რადგან გამოიწვევს მონოპოლიების მოგების შემცირებას, რასაც ისინი სამხედრო დაკვეთებიდან იღებენ. მათ აშინებთ კონიუნქტურის გაუარესება, სამშვიდობო პროდუქციის გასაღებაში სიძნელეთა გადიდება. მონოპოლისტებს აგრეთვე აშინებთ, რომ დაძაბულობის შენელება, გამალებულ შეიარაღებაზე უარის თქმა მოუსპობს მათ შესაძლებლობას იყოლიონ მშრომელები შიშში, დააშინონ ხალხი „კომუნიზმის საფრთხით“ და ამ საბაბით ანგარიში გაუსწორონ პროგრესულ ძალებს, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან. ცივი ომის, გამალებული შეიარაღებისა და

(დასასრული მე-8 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დასასრული

[illegible] თილდღეობა.

არის სხვა პერსპექტივა — მშვიდობიანი წარმოების დარგების განვითარება. არის ყველა ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის უდიდესი შესაძლებლობანი. საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, არაერთხელ გამოუთქვამს, რომ მზად არის უაღრესად ფართოდ განავითაროს სავაჭრო ურთიერთობა. უეჭველია, ეს შექმნის მტკიცე საფუძველს ხალხთა შორის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის. ეს სავსებით შეესაბამება სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ჩვენს ხაზს.

მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება, სოციალისტური სახელმწიფოების დროშაა. ეს პოლიტიკა შეესაბამება მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის განვითარებისა და განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცების ინტერესებს.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ერთადერთი სწორი გზაა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების პოლიტიკა.

ვიბრძვით რა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისათვის, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ვამტკიცოთ, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არ არის წინააღმდეგობანი, რომ მათ შორის შეიძლება დამყარდეს სრული „ჰარმონია", რომ შესაძლებელია კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების შერიგება. ვინც ასეთ თვალსაზრისს დაადგება, ის გადაუხვევს მარქსიზმ-ლენინიზმიდან. იდეოლოგიური უთანხმოებანი შეურიგებელია და ისინი იარსებებენ. მაგრამ ეს როდი გამორიცხავს მშვიდობიან თანაარსებობას, მშვიდობიან შეჯიბრებას სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

სამხედრო ტექნიკის თანამედროვე განვითარების პირობებში იმპერიალისტთა ცდა — გააჩაღონ მსოფლიო ომი — გამოიწვევდა უმაგალითოდ დიდ ნგრევასა და ზარალს, ატომური და წყალბადის იარაღის, ბალისტიკური რაკეტების გამოყენება უდიდეს უბედურებას გამოიწვევდა მთელი კაცობრიობისათვის. ამ უბედურების გამოწვევით კაპიტალისტური წყობილება თავის თავს გარდუვალ დაღუპვას განუმზადებდა. ხალხები აღარ მოითმენენ ისეთ წყობილებას, რომელსაც კაცობრიობისათვის ტანჯვა და მწუხარება მოაქვს, რომელიც სისხლისმღვრელ დამპყრობლურ ომებს აჩაღებს.

თუმცა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი ომის შედეგად, თუ იგი გააჩაღეს იმპერიალისტურმა წრეებმა, დაიღუპება ის წყობილება, რომელიც ომებს წარმოშობს, ესე იგი კაპიტალისტური წყობილება, და გაიმარჯვებს სოციალისტური წყობილება, ჩვენ, კომუნისტები, არ ვისწრაფვით ასეთი გზით გამარჯვებისაკენ. ჩვენ, კომუნისტები, არასოდეს არ ვცდილობდით და არც ვეცდებით ჩვენი მიზნების მიღწევას ასეთი საშინელი საშუალებებით. ეს ანტიმორალურია და ჩვენს კომუნისტურ მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. ჩვენ იმას ვემყარებით, რომ სოციალიზმის განვითარებისათვის საჭირო არ არის ომები.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემას მძლავრი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო რესურსები აქვს. რაც უნდა ცოფი ყარონ იმპერიალისტებმა, ისინი ვერ გატეხენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მზარდ ძალას, ვერ შეაჩერებენ საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ამხანაგებო! ჩვენ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში დიდი იდეური და პოლიტიკური აღმავლობის მოწმენი და მონაწილენი ვართ. ამას დიდად შეუწყო ხელი ჩვენი პარტიის XX ყრილობამ, განსაკუთრებით მისმა დასკვნებმა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც არის ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა, სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესაძლებლობა, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის იდეებს ფართოდ დაუჭირეს მხარი მოძმე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა. ჩინეთის, საფრანგეთის, იტალიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების ყრილობებმა ცხადყვეს კომუნისტური პარტიების მჭიდრო დარაზმულობა, მათი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი, მათი მტკიცე გადაწყვეტილება და შეუდრეკელი ნებისყოფა დიადი მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში.

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ვითარდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით. საბრძოლო და სახელოვანი დევიზით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!". ვავლებთ რა თვალს მსოფლიო მუშათა მოძრაობის მიერ განვლილ გზას, ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი წინამორბედები იყვნენ სახელოვანი ინგლისელი ჩარტისტები, 1848 წლის პროლეტარული ბარიკადების გმირები საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, პირველი ინტერნაციონალის მებრძოლები, პარიზის კომუნის უკვდავი გმირები, ამერიკელი მუშები, რომელთა თაოსნობით ყველა ქვეყნის მშრომელებმა დაიწყეს საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღის — პირველი მაისის დღესასწაულის აღნიშვნა.

პეტერბურგში იმ მიტინგთან დაკავშირებით, რომელიც მიეძღვნა პარიზის კომუნის მეათე წლისთავს, მარქსი და ენგელსი 1881 წელს წერდნენ: „როცა პარიზის კომუნა დაეცა გაავეთრებული სისხლისღვრის შემდეგ, რომელიც „წესრიგის" დამცველებმა მოაწყეს, გამარჯვებულნი სრულიადაც არ ვარაუდობდნენ, რომ ათი წელიც არ გავიდოდა და შორეულ პეტერბურგში მოხდებოდა ამბავი, რამაც ბოლოს და ბოლოს გარდუვალად უნდა გამოიწვიოს, თუნდაც ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რუსეთის კომუნის შექმნა" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1953 წ., გვ. 348). ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იყო. მარქსიზმის დიდ მასწავლებელთა წინასწარმეტყველება განხორციელდა სამნახევარი ათეული წლის შემდეგ.

გავიდა მედგარი ბრძოლის კიდევ ორმოცი წელი და დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის სახელოვანი დროშით, ბრძოლებში ნაცადი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ასობით მილიონი ადამიანი მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის გზით. და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა პირველმა მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, ვამაყობთ იმით, რომ ახლა პირველ რიგებში კომუნიზმის გზით მიდის ჩვენი ქვეყანა, დიდი საბჭოთა ხალხი თავისი სახელოვანი ლენინური კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

* * *

ამხანაგებო! დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გასული ორმოცი წლის შედეგები ცხადყოფენ, თუ რა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა მუშათა კლასმა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ახლა 950 მილიონზე მეტი ადამიანი სოციალისტურ ქვეყნებში მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით აშენებს ახალ ცხოვრებას, ყოველივეს აკეთებს იმისათვის, რომ ააშენოს სოციალიზმი, მოაახლოოს კომუნიზმის გამარჯვება. სოციალიზმი თეორიის საკითხიდან უკვე დიდი ხანია გადაიქცა პრაქტიკის საკითხად, გახდა ბევრი ხალხის ცოცხალი და შემოქმედებითი საქმე.

დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით წინ მიდის ასეულ მილიონობით ადამიანი. ხვალ ამ ძლევამოსილი დროშის ქვეშ დადგება ახალი ათობით და ასობით მილიონი მშრომელი!

დღესასწაულობს რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს, საბჭოთა ხალხი მთელ კაცობრიობას უჩვენებს თავის წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ვის შეუძლია უარყოს, რომ საბჭოთა კავშირი ახლა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, მაღალი კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ქვეყანა გახდა! სოციალისტური რევოლუციის ყველაზე შესანიშნავი წარმატებაა ხალხის კულტურის უმაგალითო ზრდა, ახალი ადამიანის — კომუნიზმის აქტიური მშენებლის აღზრდა. მდიდარია სოციალისტური საზოგადოების ადამიანის სულიერი სამყარო, დიადი და გაბედულია მისი ოცნებანი და ქმნილებანი!

თუ წინათ ამბობდნენ, რომ მოსკოვის კრემლის კოშკებზე მკაფიოდ კაშკაშებენ წითელი ვარსკვლავები, ახლა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომით შექმნილი და სამყაროში გაშვებულია ახალი ვარსკვლავები — მსოფლიოში პირველი დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები. ეს თანამგზავრები არიან პროგრესის მაუწყებლები, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვების მაუწყებლები. მათ სამართლიანად უწოდებენ მშვიდობის თანამგზავრებს. გარს უვლიან რა დედამიწას, საბჭოთა თანამგზავრები გვაუწყებენ, თუ რა სიმაღლემდეა განვითარებული მეცნიერება და ტექნიკა, მთელი ეკონომიკა საბჭოთა ქვეყნისა, რომლის ხალხები მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით აშენებენ ახალ ცხოვრებას.

საბჭოთა ქვეყანა შედის თავის მეხუთე ათეულ წელიწადში. ნათელი და დიდებულია ჩვენი წინსვლის პერსპექტივები. ჩვენ წმიდად გვახსოვს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძი, რომ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა მთელი ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ ამოცანებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ისწრაფვიან მომავლისაკენ, მთელი მათი ყურადღება მიპყრობილია კომუნისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული ამოცანებისადმი, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. პარტია და ხალხი ამ ამოცანებს წყვეტენ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, კომუნიზმის მომავალი გამარჯვების მტკიცე და ღრმა რწმენით.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს მძლავრ სოციალისტურ ბანაკს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს საბჭოთა ხალხის ძმური მეგობრობა ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან, დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს, ჩვენს დიად და უძლეველ დროშას!

**(ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლის მოხსენება დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი, არაერთხელ აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით).**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

**1957 წ. 7 ნოემბერი № 202 ქ. მოსკოვი**

**ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!**

**ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!**

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმით აღნიშნავენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ამ ღირსშესანიშნავ წლისთავს ჩვენი ქვეყანა ეგებება შესანიშნავი წარმატებებით კომუნისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ჩვენი სამშობლო გადააქცია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ, დიდად განვითარებული მრეწველობის, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ამ საფუძველზე მიღწეულია დიდი წარმატებები ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. საბჭოთა კავშირი მიდის სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით.

ეწევა რა შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, რომელსაც მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. მაგრამ საბჭოთა ხალხს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ის, რომ რეაქციული იმპერიალისტური წრეები, ახორციელებენ რა „ძალის პოზიციის" პოლიტიკას, ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას.

ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა საიმედო გუშაგია საბჭოთა შეიარაღებული ძალები. ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით საბჭოთა არმია და ფლოტი აღჭურვილი არიან უახლესი იარაღით და ტექნიკით და დგანან მაღალ დონეზე, რომელსაც მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს დაცვის ინტერესები.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მოვალეობაა სრულყოფილად დაეუფლოს ახალ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, განამტკიცოს მხედრული დისციპლინა და ორგანიზებულობა, დაუცხრომლად აამაღლოს ნაწილებისა და ხომალდების საბრძოლო მზადყოფნა.

ვულოცავ ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, აგრეთვე ლვოვში, კალინინგრადში, მურმანსკში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და კამჩატკის პეტროპავლოვსკში მიცემულ იქნას სალუტი ორმოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ოქტომბრის რევოლუციის ბელადს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი. 1957 წლის 6 ნოემბერი. საზეიმოდ არის მორთული ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სპორტის სასახლე. ვეებერთელა დარბაზში სცენის თავზე ბრწყინავს ციფრები „1917-1957" და სიტყვები „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს!". წითელი ტილოების ფონზე, ყვავილებს შორის აღმართულია უდიდესი რევოლუციის ბელადისა და ორგანიზატორის — უკვდავი ლენინის სკულპტურული პორტრეტი.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი**, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი**, მათი მოადგილეები — დეპუტატები **ა. ა. ლებედევი, ნ. ე. ავხიმოვიჩი, მ. სულთანოვა** და **პ. გ. ტიჩინა**. პრეზიდიუმსა და ლოჟებში შემოდიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები **ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, მ. გ. პერვუხინი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ადგილებს იკავებენ უცხოეთის დელეგაციების ხელმძღვანელები — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ამხანაგი **მაო ძე-დუნი**, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ენვერ ხოჯა**, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ტოდორ ჟივკოვი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი **იანოშ კადარი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი **ხო ში მინი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ვალტერ ულბრიხტი**, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ამხანაგი **კიმ ირ სენი**, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **დაშიინ დამბა**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ვლადისლავ გომულკა**, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **კივუ სტოიკა**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ანტონინ ნოვოტნი**, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი, იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი **ედვარდ კარდელი**, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი **მორის ტორეზი**, იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი **პალმირო ტოლიატი**, ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხანაგი **იოჰან კოპლენიგი**, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე ამხანაგი **ჰარი პოლიტი**, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **მაქს რაიმანი**, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **დოლორეს იბარური**, ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **აჯოი გჰოში** და უცხოეთის სხვა დელეგაციების ხელმძღვანელები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, უცხოეთის დელეგაციების მეთაურებს დამსწრენი მქუხარე ოვაციით ხვდებიან, ყველანი ფეხზე დგებიან.

თავმჯდომარე დეპუტატი პ. პ. ლობანოვი მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომას. მოხსენებისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წელი — იგი სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლის მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს, არაერთხელ აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით.

* * *

შესვენების შემდეგ თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ტ. ლაცისი სიტყვას აძლევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელს ამხანაგ **მაო ძე-დუნს**. დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან მას, ყველანი ფეხზე დგებიან.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულის გამო, — ამბობს ამხ. მაო ძე-დუნი, — მე, ჩინეთის დელეგაციის ყველა ამხანაგთან ერთად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, მთელი ჩინელი ხალხისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყველა წევრის სახელით მხურვალე ძმურ მოლოცვას გადავცემ დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

ლაპარაკობს რა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვლილი 40 წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანების მიერ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებულ დიად გამარჯვებათა შესახებ, ამხ. მაო ძე-დუნი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გამარჯვებანი სიამაყეა არა მარტო საბჭოთა, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისათვის, მთელი კაცობრიობისათვის. საბჭოთა ადამიანების წარმატებებში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები დღითიდღე სულ უფრო ნათლად ხედავენ თავიანთ მომავალს. საბჭოთა კავშირის გზა, ოქტომბრის რევოლუციის გზა თავისი საფუძვლით მთელი კაცობრიობის განვითარების საერთო, ნათელი, მთავარი გზაა.

ილაპარაკა რა შემდეგ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ამხ. მაო ძე-დუნმა განაცხადა: ჩვენ მტკიცედ ვიბრძვით სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის, იმისათვის, რომ ყველა ქვეყნის ხალხები თავიანთ საშინაო საქმეებს წყვეტდნენ საკუთარი სურვილის მიხედვით.

ამხ. მაო ძე-დუნი მადლობას უხდის საბჭოთა ადამიანებს სახალხო ჩინეთისადმი ძმური დახმარებისათვის.

სიტყვა ეძლევა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელს ამხანაგ **ვლადისლავ გომულკას**. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან მას. იგი ამბობს, რომ პოლონელებსა და საბჭოთა ადამიანებს განსაკუთრებული საბაბი აქვთ, რათა ერთად ღრმად იგრძნონ ოქტომბრის რევოლუციის სიდიადე და მნიშვნელობა. ამ რევოლუციამ პოლონელ ხალხს მოაშორა მეფისა და კაიზერის ბორკილები — ეროვნული მონობის ბორკილები, ბოლო მოუღო პოლონეთის დაყოფას, დაუბრუნა პოლონელ ხალხს დამოუკიდებელი არსებობის უფლება.

გზა, რომლითაც ათეული წლების განმავლობაში ერთად მიდიოდნენ პოლონელი და რუსი რევოლუციონერები, [illegible] მიწაწყალზე და საბჭოთა არმიის მხარდამხარ იბრძოდა — ყოველივე ეს იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, თუ რა დიდი და საბრძოლო ტრადიციები აერთიანებს პოლონეთის მუშათა კლასსა და პოლონელ ხალხს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან და საბჭოთა ხალხთან.

ახლა, ამბობს ამხ. გომულკა, ასეული კილომეტრების მანძილზე ჩვენს ქვეყნებს აერთებს საერთო საზღვრები, რომლებიც სოციალისტურ პირობებში მეგობრობისა და ძმობის საზღვრები გახდა.

ტრიბუნაზეა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელი ამხანაგი **ანტონინ ნოვოტნი**, რომელსაც დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, აღნიშნავს ამხ. ნოვოტნი, რომელმაც თანამედროვე პირობებში შემდგომ განავითარა მარქს-ენგელს-ლენინის იდეები, ახალი ძალები შეგვმატა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირთან კავშირმა და სოციალისტური ბანაკისადმი კუთვნილებამ ჩეხოსლოვაკ ხალხს პირველად მის ისტორიაში მისცა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტია. ჩვენი ხალხი არასოდეს არ უღალატებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის კეთილშობილურ, უაღრესად სამართლიან იდეებს და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების სულისკვეთებით მტკიცედ იმუშავებს და იბრძოლებს მათი შემდგომი განვითარებისა და გამარჯვებისათვის.

სიტყვას ამბობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ამხანაგი **ვალტერ ულბრიხტი**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, გერმანიის მუშათა კლასის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის სახელით იგი ულოცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს ოქტომბრის დიდ დღესასწაულს, ხოლო საბჭოთა მეცნიერებსა და ტექნიკოსებს — დედამიწის ორი ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვებას, რაც მოწმობს საბჭოთა მეცნიერების გრანდიოზულ წარმატებებს.

შემდეგ მხურვალე ძმური მისალმებებით გამოვიდნენ დელეგაციების ხელმძღვანელები: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ამხანაგი **კივუ სტოიკა**, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ამხანაგი **ტოდორ ჟივკოვი**, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — ამხანაგი **ედვარდ კარდელი**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ამხანაგი **იანოშ კადარი**, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ამხანაგი **ხო ში მინი**, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა — ამხანაგი **კიმ ირ სენი**, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — ამხანაგი **ენვერ ხოჯა**, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — ამხანაგი **დაშიინ დამბა**, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საზღვარგარეთის მოძმე ქვეყნების დელეგაციების მისალმებაზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა.

სესიის მონაწილეთ მიესალმნენ აგრეთვე დედაქალაქის ნორჩი პიონერები.

დასასრულ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი და მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელისადმი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისადმი, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებისადმი, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი.

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

გაჩირაღდნებულია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა. 6 ნოემბერს საღამოს აქ გაიმართა საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, კ. კ. როკოსოვსკი, პ. ვ. კოვანოვი, ი. ხ. დოლიძე, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, ი. ი. ფედიუნინსკი, გ. ა. გეგეშიძე, თ. ბ. ჯანელიძე**. პრეზიდიუმში არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უხუცესი წევრები, რევოლუციის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საბჭოთა არმიის გენერლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც ცვლის საქართველოს სსრ ჰიმნი.

სიტყვა მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახებ ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

—დღეს დედამიწაზე, — ამბობს მომხსენებელი, — დიდი და ნათელი დღესასწაულია. შესრულდა დიდი ოქტომბრის 40 წელი. საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელნი ზეიმით აღნიშნავენ სოციალიზმის მკვიდრ საძირკველზე მსოფლიოს განახლების ამ დიდებულ დღესასწაულს.

ამხ. მჟავანაძე მხურვალედ მიესალმება საზეიმო სხდომაზე დამსწრე საქართველოს და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანებს, მშრომელთა ბედნიერებისათვის სახელოვან მებრძოლებს.

— 40 წლის წინათ, კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც დიდი ლენინი მეთაურობდა, — განაგრძობს მომხსენებელი, — რუსეთის მუშები, ჯარისკაცები და გლეხები გამოვიდნენ ოქტომბრის შტურმზე. „ავრორის" ქვემეხების ზალპით, ზამთრის სასახლის გმირული შტურმით, მოსკოვის ქუჩებში ბარიკადებზე ბრძოლებით გამოიხატა ნება ხალხის უფართოესი მასებისა, რომლებიც ბოლშევიკებმა გამოაღვიძეს და დარაზმეს შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის. დიდი ოქტომბერი მოასწავებდა ახალი ხანის — კაპიტალიზმის ნგრევისა და კომუნიზმის გამარჯვების ხანის დასაწყისს კაცობრიობის ისტორიაში.

ამხ. მჟავანაძე შემდეგ ლაპარაკობს იმ გზაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხებმა განვლეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის განმავლობაში.

ამხ. მჟავანაძე დაწვრილებით შეეხო ქართველი ხალხის უდიდეს წარმატებებს ახალი ცხოვრების, სოციალისტური ყოფის მშენებლობაში, რომლებიც მან მოიპოვა საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში, ძმური რუსი ხალხის დახმარებით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა ინდუსტრიული გიგანტები. ამჟამად რესპუბლიკაშია დაახლოებით 4.300 მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმო. საქართველოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 29-ჯერ გადიდდა.

განუხრელად ახორციელებს რა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის ლენინურ კურსს, პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მძიმე მრეწველობის შექმნასა და ყოველი ღონისძიებით განვითარებას. მძიმე მრეწველობის დარგების პროდუქციის ხვედრითი წონა 1928 წლის 23 პროცენტიდან გადიდდა 46 პროცენტამდე 1950 წელს.

— საქართველოს კომუნისტები, — განაგრძობს მომხსენებელი, — ასრულებენ ვ. ი. ლენინის განაწესს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ. შარშან საქართველოში გამომუშავებული იყო 26 პროცენტით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მთელ რევოლუციამდელ რუსეთში 1913 წელს.

მონაწილეობენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ათი თვის გეგმა, დავალების გადამეტებით გამოუშვეს 265 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად ძირეული ცვლილებანი მოხდა ქართული სოფლის ცხოვრებაში, სოფლის მეურნეობა ინტენსიურად განვითარდა. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელები მტკიცედ იბრძვიან პარტიის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

შეკრებილნი ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან მომხსენებლის სიტყვებს, რომ საბჭოთა ხალხი მთელ თავის წარმატებებს უნდა უმადლოდეს სახელოვან კომუნისტურ პარტიას. მხოლოდ კომუნისტების მძლავრ პარტიას, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — რომელიც შექმნა და აღზარდა დიდმა ლენინმა, რომელიც მონოლითურია თავისი ერთიანობით, ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე პრინციპებისა, განუყრელად დაკავშირებულია მშრომელთა ფართო მასებთან, შეეძლო მიეყვანეთ კომუნიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

ჩვენი პარტიის ძალა არის მისი რიგების დარაზმულობა, იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა. პარტიის რიგების მონოლითურობის, ხალხთან მისი ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია იყო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჟუკოვის ანტიპარტიული მოქმედების გაბედვით დაგმობა.

— შემოქმედებითი ძალების აყვავებით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების გამარჯვების მტკიცე რწმენით, — ამბობს მოხსენების დასასრულს ამხ. მჟავანაძე, — საბჭოთა ხალხი აღნიშნავს თავის ყველაზე დიდ, ყველაზე სასიხარულო დღესასწაულს.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან მომხსენებლის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევ ბურჯს, საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელ ხალხს, ჩვენს მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, ბრძენ კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს.

დარბაზში ყვავილებით, მხნე მარშით შემოდის თბილისის პიონერთა დელეგაცია, რომელსაც დამსწრენი გულთბილად მიესალმებიან.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. მძლავრად და დიდებულად ჟღერენ პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის" ჰანგები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

(საქინფორმი).

(„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 11 ნოემბერს).

რედაქტორი ვ. რატიანი.

უე 02664

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.